პირველი მოთხრობა

მერე კი უფრო ჩამობნელდა.

გეგონებოდათ, გზისკენ გადმოხრილ ხეებს ბინდი მოჰქონდათ თან. საღამოს მეექვსე საათი იქნებოდა. სულ ახლახან შემოიღეს ზამთრის დრო, თუმცა სწრაფად მილეული დღეების გარდა, შემოდგომის, და მით უმეტეს, ზამთრის არანაირი სხვა ნიშანწყალი არ ჩანდა.

ასფალტის ლურჯი ზოლი წინისკენ და ქვევით მიისწრაფოდა – და ეს იყო ერთადერთი ნათელი სივრცე. გზა მთების კალთებს შორის გადიოდა, რომლებზეც თათებგამოწვდილი ნაძვები და ბანჯგვლიანი ფიჭვები იდგა. გავიფიქრე, ნაძვების ტოტები ძაღლების გაქუცულ კუდებს ჰგავს-მეთქი და რატომღაც გამეცინა. ამ შედარებით სადღაც მაღლა, ხეებს შორის, იშვიათი სინათლეები ციმციმებდა, - ამბობდნენ, იქ სამთავრობო აგარაკებიაო.

ღრმად ამოვისუნთქე. ადამიანი აქ ყოველთვის კარგად სუნთქავდა და მე ვიგრძენი, როგორ მივსებდა საღამოს ჰაერი ფილტვებს, შიგნით კი რაღაც მჩხვლეტდა. ხელისგულები ლოყებზე მივიდე. ლოყები ვაშლებივით ცივი და ასეთივე მკვრივი იყო, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ამასთან ისინი ვაშლებივით წითელი მქონდა. პატარა სარკე ამოვიღე, ჩემს გამოსახულებას ჩავხედე, თუმცა ვერაფერი დავინახე ცის ლილისფერი ნაგლეჯის გარდა.

დროდადრო სტვენით ჩამიქროლებდნენ ხოლმე მანქანები - წყნეთიდან ბრუნდებოდნენ, სადაც ყველაზე პრესტიჟული აგარაკები იყო. ჩემსავით ფეხით მოსიარულე აქ არავინ იყო და გავიფიქრე, სულელივით მოვიქეცი, ასე გვიან რომ დავადექი-მეთქი გზას. რამდენიმე დღე იყო, რაც ქალაქში ისროდნენ, გარეუბნებზე კი საერთოდ საშინელებებს ჰყვებოდნენ.

ის-ის იყო, პირველი მოთხრობა დავამთავრე. მოზღვავებული გრძნობები არ მასვენებდა, შინ ვერ ვიჯდებოდი. გადაბეჭდილი ფურცლები შევაგროვე, კარი გასაღებით ჩავკეტე და გაჩერებისკენ დავეშვი.

თუმცა ალბათ უფრო გონივრული იქნებოდა ბაგებში, საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში დავრჩენილიყავი, ჩემს ძმებს

რომ ეკავათ. ეს თბილისის გარეუბანში, მთებს, ბორცვებსა და წიწვოვან ხეებს შორის მდებარე უნივერსიტეტის სტუდქალაქი იყო.

ძმები ახლა ქალაქში არ იყვნენ. მე დროდადრო ვაკითხავდი მათ საცხოვრებელს - ეს იყო ოთახების ციცქნა კვადრატები, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, ოჯახის საცხოვრებლად არ იყო განკუთვნილი. მხრებით ჩამოკიდებული ბავშვის კაბების, პატარა საწოლის ქვეშ შეგორებული რეზინის ბურთის თუ ოთახის შუაში გარინდებული სათამაშო თვითმცლელი მანქანის დანახვაზე გრძნობა მერეოდა, უკვე მენატრებოდნენ ჩემი ძმისშვილები, ვიხსენებდი მათ გახარებულ შეძახილებს, გაბრწყინებულ თვალებს, დედასაც რომ მაგონებდა, მამასაც, მამიდასაც და ჩემს დასაც... და ჩემს თავსაც ბავშვობაში, - ერთი სიტყვით, ბუნებამ ყველაფერი შეაზავა, მთლიანობაში კი ისინი სავსებით დამოუკიდებელი ადამიანები იყვნენ.

ცხადია, დარჩენა უფრო გონივრული იქნებოდა. სამუშაოთი გატაცებულს მხედველობიდან გამომრჩა, რომ მეორე დღე იყო, სამარშრუტო მიკროავტობუსები არ მუშაობდა, ბენზინის გამოო, ამბობდნენ. მათ ავტობუსებიც შეუერთდნენ და ახლა მარტო გაჭედილ ტროლეიბუსებს გადაჰყავდა ქშინვითა და ხვნეშით ხალხი ქალაქში.

სტუდქალაქიდან იმ წრემდე, რომელიც ტრანსპორტის ფირნიშებზე ისე იყო აღნიშნული, როგორც საკუთრივ ბაგები, “მარშრუტკების” გარდა არაფერი დადიოდა.

უკაცრიელ გაჩერებაზე გავიარ-გამოვიარე. უკან, ვიწრო, ჩაკეტილ სივრცეში დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. და ასე, რომ არ ვიცოდი, როგორ დამეოკებინა მოზღვავებული სიხარული, ფეხით დავადექი გზას, თან სულ დაწერილზე ვფიქრობდი.

მოთხრობა ძნელად იწერებოდა. დაუფიქრებლად წერას, ისე, გაზეთისთვის რომ ვწერდი, გადავეჩვიე, სხვანაირად წერა კი ჯერ არ მესწავლა და სტრიქონების პირველივე შეჩერებისას, რომლებიც თითქოსდა თავისით დარბოდნენ, გული მელეოდა, ვწუხდი და ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი ამ მტანჯველი ტყვეობიდან.

მოთხრობა ერთხელ დამესიზმრა კიდეც. ის მოყვითალო-ყავისფერ მთას ჰგავდა. მიწა ფეხქვეშ მეცლებოდა. გოროხების მშრალი ტკაცანი და ისინი ქვევით, ქვევით ეშვებიან...

ზეაღმართული მთის ციცაბო კალთას ვეჭიდები და თვალს ვაყოლებ ამ მიწისცვენას და კვლავინდებურად გულდამძიმებული ვუმზერ. ვიცოდი, რომ ვალდებული ვიყავი ეს სიმაღლე გადამელახა და თითქოს ვიცოდი, რომ ეს იყო მოთხრობა, რომელიც უნდა დამეწერა.

მაგრამ როგორც კი მუშაობას თავს დავანებებდი, შფოთვა მეუფლებოდა. ადგილს ვერ ვპოულობდი. ანაზდად თავში მზა სიტყვაშეწყობები, წინადადებები მებადებოდა. გამალებით ვიწერდი იმას, რასაც შიგნიდან მკარნახობდა რაღაც და ვერ გამეგო, მაინც რა უნდა ყოფილიყო ეს?

როცა ეს პირველად მოხდა, დაწერილს რომ ვკითხულობდი, ანაზდად ვიგრძენი როგორ მომისალბუნა ტკბილმა ტალღამ გულში – ნაპოვნი იყო მთავარი ჩემი გმირის გარეგნულ იერში და თურმე, მე ვერა და ვერ მომეფიქრებინა - როგორ გადმომეცა ეს გრძნობა სიტყვებით.

მივხვდი, რომ მოთხრობას ვერსად წავუვიდოდი და მაშინ ფურცლები უბის წიგნაკივით დავკეცე და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ვფურცლავდი მათ. კალამი ისე მეჭირა ხელში, თითქოს ზუსტი დარტყმისთვის ვემზადებოდი, სულ ვაყოვნებდი, ვაყოვნებდი, ვფიქრობდი. თუმცა ამას ფიქრი არ ეთქმოდა. გონებაში რაღაც ასოციაციები, სიტყვების, მხატვრული სახეების ნაკადები გამიელვებდა ხოლმე. მე კი პეპლების იმ დამჭერივით მეჭირა კალმისტარი, რომელსაც თითქოსდა უაზროდ უჭირავს საჭერი, რათა საჭირო მომენტში ზუსტი მოქნევით დააფაროს მოფრენილ ლამაზმანს.

პეპლის შეშინებული ფარფატი, წარმატების შემთხვევაში გულს გადაეცემოდა, რომელიც ზედ ყელთან იწყებდა სიხარულით ცემას. მე ხელისგულით ვიჭერდი მას, მეშინოდა, არ ამოხტეს-მეთქი. მიყოლებით ყველაფერს არ ვწერდი, იმ მსროლელის მსგავსად, რომელიც დაუფიქრებლად ისროდა - იქნებდა მიზანს მოვახვედროო.

არა, მე დიდხანს ვუმიზნებდი, მერე კი გამალებით ვწერდი წინადადებებს. სიტყვები ვერ ეწეოდნენ კალმისტარს, კალმისტარი - აზრს, ასოები ზედ ახტებოდნენ ერთმანეთს, გვერდზე ცვიოდნენ, მინდვრების გასწვრივ ნაპირზე ძვრებოდნენ.

მეორე დღეს კი მე ინტერესით ვიქექებოდი სიტყვების ამ გროვაში. ნამსხვრევებში საჭირო წინადადებებს ვპოულობდი, ამოქექილ სიტყვებს ვბერტყავდი, მტვერივით ვაშორებდი ზედმეტ წინადადებებს, ვწმენდდი შორისდებულებს, ვასუფთავებდი სასვენ ნიშნებს. და ამ გაწმენდილ სიმდიდრეს ვათავსებდი აბზაცში, რომელიც კარგი დიასახლისის მიერ გაწმენდილ-გაწკრიალებული ფანჯრებივით იწყებდა ბზინვას.

ეს საოცრად საინტერესო სამუშაო იყო!

თუმცა, მართალია, მანამდე საჭირო იყო ხელუხლებელი ყამირის პირველი ფენის მოხვნა - ქვეცნობიერი გრძნობების და გასაქცევად გამზადებული აზრების კონკრეტულ სიტყვებად და წინადადებებად გადადნობა..

და კიდევ იმდენი უნდა მომეხერხებინა, რომ ამ გადარჩევის დროს არ დაკარგულიყო ის, რასაც მარშაკი “სამუშაო ვერსიის მხიარულ ცხელებას” ეძახდა.

მაგრამ როცა წინადადებების უკვე მწყობრ და გაწკრიალებულ რიგებში ზუსტი აზრი და ლაღი სული მკვიდრდებოდა – მე ბედნიერი ვიყავი.

მოთხრობა სუფთა, ცინცხალი, ჩემი გმირივით ნათელთვალება გამოვიდა. ეს ლამაზი ბავშვი იყო. ის ჯერ ისევ გვერდში მყავდა და ჩემს სიახლოვეს საჭიროებდა. ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი სახლში, გავშლიდი მაგიდაზე ფურცლებს, ხელს გადავუსვამდი, როგორც ბავშვს გადაუსვამენ ხოლმე თავზე ხელს და კმაყოფილებას იღებენ.

და ამავე დროს მოთხრობა სიყვარულით გამოჭედილი ნივთივით იყო. მე ვაკაკუნებდი მზა ნაკეთობაზე და ვაყურადებდი – გაბზარული ხომ არ არის-მეთქი? - და პასუხად სიხარულით ვისმენდი სუფთა, დაწმენდილ ხმას.

თუმცა ჩემდა გასაკვირად, მოთხრობამ იეშმაკა და მაჯობა. ისეთი არ გაიზარდა, როგორსაც ველოდი. მე მინდოდა მომეთხრო

მესხებზე, ხალხის საუკუნოვან საიდუმლოზე, რომელიც მის ძალას წარმოადგენს და რომელიც აერთიანებს.

მოთხრობამ ჩარჩოები გაარღვია და ხტუნვა-ხტუნვით სულ სხვა მხარეს გაიქცა. ის თვითონ წერდა საკუთარ თავს. მე ძლივძლივობით ვეწეოდი მას. ხოლო როცა დავეწიე, აღმოჩნდა, რომ დაბრუნება გვიანღა იყო. და აღარც იყო საჭირო. საიდუმლო კი საიდუმლოდ დარჩა.

ეს ყველაფერი ძალიან მაოცებდა. არ ვიცოდი, როგორ აღმექვა.

ვიფიქრე, ვერაფერს გააწყობ, როგორც ჩანს, მესხების შესახებ სხვა მოთხრობის ან სხვა მოთხრობების დაწერა მომიწევს-მეთქი. ვნახოთ, როგორ იქნება, ჩვეულებისამებრ, ვეკამათებოდი საკუთარ თავს და აქეთ-იქით ვიყურებოდი. და ვერ შევამჩნიე, როგორ ჩამობნელდა.

უნდა გავჩუმებულიყავი - მგონი, გზა ამერია. ხეების მდუმარე ალყაში აღმოვჩნდი და შიში შემომეპარა. უკვე ვგრძნობდი მის სუსხს, ნელ-ნელა რომ მიიწევდა ჩემი გულისკენ. ირგვლივ სიჩუმე გარინდულიყო.

აზრზე მოსასვლელად და რაიმე ორიენტირის პოვნის იმედით მიმოვიხედე. ირგვლივ სიბნელე იყო. თითქმის ალალბედზე მივაბიჯებდი. მხოლოდ გვერდით მხარეს, თხრილის გადაღმა შორს, სინათლეების პატარ-პატარა ნაკადულები კრთოდა და ქმნიდა მრავალსართულიანი სახლების მოხაზულობებს - ახალ მასივს სახელწოდებით ნუცუბიძის პლატო. ასეთი პლატოები იქ მრავლად იყო - ხელოვნური მრავალიარუსიანი მოედნები, სადაც ერთი პატარა ხეც კი არ იყო, სამაგიეროდ იყო "წერტილოვანი" მრავალსართულიანი შენობები. შორიდან, განსაკუთრებით კი დღისით, ეს ლამაზი იყო - რძისფერ კვამლში აღლუმზე ჩამწკრივე-ბულ თეთრ გემებს ჰგავდნენ.

სულ რაღაცას იგონებ, ვუთხარი ჩემს თავს. რა არ მოგწონს? რა არ მომწონს და "თეთრი გემები", რა, განა ლამაზი არ არის? ლამაზი კი არის, ზუსტი კი არა. მაშ, კარგი, უფრო ზუსტად თქვი. კი, ბატონო, - "ვერტიკალურად ჩამწკრივებული დომინოს თეთრი ქვებია", მაგრამ ეს შედარება არამდგრადია. დომინოს ქვები სწორედაც რომ მდგრადია. სახლები არ არის მდგრადი. რა, აღარ გახსოვს, რა ძალიან ირწევა ისინი ქარიან ამინდში? გეგონება,

სადაც არის ძირს დაემხობიანო. კარგი, კარგი, იყოს როგორც შენ ამბობ - “ვერტიკალურად დაყენებული დომინოს თეთრი ქვები”.

იქ, სადღაც შორს ბინა იყო. ცოტათი გავმხნევდი და ვცადე თვალით მომეძებნა ეს სახლი. შურა გამახსენდა, მისი უკიდეგანო სიკეთე, გამახსენდა, როგორ გვეხმარებოდა ის ჩვენ, მესხებს.

ბევრი ემადლიერებოდა მას წიგნებისთვის, თბილი ჩასაცმელ-დასახურავისთვის და პროდუქტებისთვის, რომლებითაც ის დაუ-ფიქრებლად ამარაგებდა პირველ შემხვედრ გაჭირვებულს. ჩვეუ-ლებრივ, შურა შეწუხებული იჭმუხნიდა ხოლმე შუბლს: “სხვა ვერაფრით გეხმარებითო”. მას მოძმეთა წინაშე დანაშაულის გამძაფრებული გრძნობა აწუხებდა: ადამიანები სამშობლოს მოწყვეტილები არიან, უჭირთ, ქართველები კი გულხელდაკრეფი-ლები სხედანო. თუმცა ის აშკარად აზვიადებდა თავის ბრალეუ-ლობას. ჩვენ ბედ-იღბალში ბევრ და ბევრ ქართველს რომ არ მიეღო მონაწილეობა, მრავალი ჩვენგანი ახლა აქ ვერ იცხოვრებდა.

მაგრამ შურა იმაზე ოცნებობდა, რომ ყველა მესხს საქართვე-ლოში ეცხოვრა და ამაში ჩვენ სოლიდარულები ვიყავით.

ერთ საღამოს მან დაგვირეკა და აღელვებულმა გვითხრა, სადგურში ფერგანელი ლტოლვილები არიან, ფუთებზე სხედანო.

მე უმალ მივირბინე იქ და მოსაცდელ დარბაზში ავედი. უამრავ ხალხში, აფუებული ცომივით რომ მოსდებოდა სავარძ-ლებსა და სკამებს, შეუმცდარად ვიცანი ისინი, თვალმა უმალ იპოვა ჩემიანები, მშობლიურები.

თუმცა მაშინვე გულისტკივილით გავიფიქრე, მესხები მოხეტიალე ტომად იქცევიან-მეთქი.

ღვთივ მიწათმოქმედებს, მათ სხვა არაფერი ეხერხებათ გლეხური შრომის გარდა, მერამდენედ მოწყვიტეს ისინი მიწას და არსაითში გადახვეწეს...

კი, მათ შეგუება შეძლეს! მესხებმა გეოგრაფია მარტო რუკით როდი გაიცნეს. მერე ისინი გაყოჩაღდნენ, სწრაფად ერკვეოდნენ ვითარებაში, ისწავლეს და ფულს ახლა მარტო სახნისის დახმარე-ბით აღარ შოულობდნენ. ისინი მსოფლიოს ადამიანებად იქცნენ...

მაგრამ ბევრი რამ დაიკარგა. იკარგებოდა გლეხური საფუძვლიანობა. ქრებოდა მიმნდობი თვალების გულუბრყვილო

მზერა - არადა, რაოდენ ძვირფასია ჩემთვის ეს სუფთა მზერა, რომელსაც ათას სხვაში გამოვარჩევდი!

უნებლიე ბოშებად ქცეულნი, ისინი უნდობლები გახდნენ, სძულდათ ადამიანები და ხელისუფლება. ტანსაცმელსა და სახლის მოწყობილობაში დაუდევრობამ იჩინა თავი, რაც ადრე ყოვლად მიუღებელი იყო მათთვის. რადგან ხალხი დაფანტული იყო, მესხებს ოჯახი აერთიანებდა, და არა მიწა და ერი.

და იქ, სადაც კლანის ძლიერი მეთაური ჰყავდათ, ყველაფერი ძველებურად მიდიოდა: სიცოცხლის საფუძველი ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი შრომაა, სადაც თითოეული გარკვევით ებმებოდა მოვალეობების უცვლელ წრეში და მტკიცედ იცოდა მისთვის დადგენილი შრომისა და თავისუფლების ზომა.

მაგრამ იქ, სადაც პატრიარქალური წყობის ბერკეტები მორყეული იყო, მცნებათა ტრანსფორმაცია ხდებოდა. ღირებულე-ბები იკარგებოდა, ფული რყვნიდა და ასუსტებდა.

დიახ, მე ისინი უმალ ვიცანი. ახალგაზრდა ქალები ისხდნენ და ხელში ჩვილები ეჭირათ, ჩამოშვებული ტანსაცმელი ეცვათ, ირგვლივ ჭრელ-ჭრელი ბოხჩები ელაგათ. ბავშვები წრიალებდნენ. ქანდაკებებივით ისხდნენ ჩამომხმარი მოხუცი ქალები, კაცები განწირული გამომეტყველებით ტრიალებდნენ ბოხჩებთან.

ეს ადამიანები აზერბაიჯანიდან ჩამოვიდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ფერგანის შემდეგ იქ შეაფარებდნენ თავს, მაგრამ შემოდგომამდე ვერა და ვერ მოეწყვნენ. ახლა ბელგოროდის ოლქისკენ აეღოთ გეზი, მიყრუებულ სოფელში აპირებდნენ თავის შეფარებას, სადაც ორმოცი კილომეტრის მანძილზე არავინ ჭაჭანებდა, და სადაც მათ ელოდა რუსეთის ჰავა, რომელიც ჩაუცმელ-დაუხურავებს შიშის ზარს სცემდა.

სწორედ იქ გადაისროლა ისინი მთავრობამ და ამ გზით უზბეკების მიერ დაწყებულ ხოცვა-ჟლეტას კი გადაარჩინა, მაგრამ სიცივისა და სიღატაკისთვის გაწირა.

თბილისში ისინი გავლით იყვნენ. ვითარება საქართველოში არასასიამოვნო და მესხების წინააღმდეგ ჩვეულებრივზე მეტად იყო გამწვავებული. მესხების სამშობლოში მიღებაზე უარის უნდილი მიზეზები, ხელისუფალნი რომ იშველიებდნენ, “თურქი მესხების” “ცოდვებზე” გააფთრებულმა ლაპარაკმა შეცვალა.

ფერგანის ამბები კრემლის პროვოკაციად აღიქმებოდა. მიტინგებზე გაიძახოდნენ ფერგანა იმისთვის იყო საჭირო, რომ ჩვენი მიწა-წყალი თურქებით დაესახლებინათო. თურქები ტანკებით შემოიჭ-რებიან საქართველოში და ჩვენს სულიერ და მატერიალურ ფასეულ-ობებს გაანადგურებენო. არცერთი თურქი ქართულ მიწაზე! ამიტომაც იყო,რომ ლტოლვილებს მათი ამოცნობის ეშინოდათ და შურას დანახვაზეც ამიტომვე შეშფოთდნენ.

ის თავის ვაჟიშვილთან ერთად მოვიდა - თბილი ჩასაცმელ-დასახურის დიდი ბოხჩა მოიტანა. გამჭვირვალე ცელოფნის პარკი სავსე იყო დეფიციტური საპნით, რომელმაც სადგურის ბინადრებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შურამ ბავშვებს ფერად-ფერადი ქართული წიგნები დაურიგა. მოხუც მამაკაცს - ოჯახის თავკაცს, ფულის დასტა გადასცა. ფული რაღაცნაირად უხერხუ-ლად გაუწოდა, დარცხვენილი ღიმილით, თითქოს ბოდიშს უხდიდა.

მოხუცმა კი ეს ყველაფერი მშვიდად, ღირსებით მიიღო, პირმოთნეობისა და თავის ქნევის გარეშე. ახალგაზრდა ქალებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ ამ ძღვენზე – რაღაცნაირად გათიშუ-ლები იყვნენ. მე მგონი, მათ საერთოდ ვერ გაიგეს, ვინ ვიყავით და საიდან დავატყდით თავს. მარტო მამაკაცები შეუდგნენ შურას საჩუქრების საქმიანად დაბინავებას, შორიდან გამომცდელად გვადევნებდნენ თვალს და ცდილობდნენ გამოეცნოთ ვინ ვიყავით და რას წარმოვადგენდით.

ისე, რომ სახის გამომეტყველება არ შეუცვლია, მოხუცმა გვიამბო, როგორ წაუკიდეს ცეცხლი მათ სახლ-კარს, როგორ შეიყუჟნენ ყველანი ერთად შორეულ ოთახში. მხოლოდ კედლების მტკიცე წყობამ უშველა, სწორედ მან გაუძლო ცეცხლს დაღამებამდე. ხოლო როცა მრბევლებს მთვრალი ძილი მოერია, ისინი უზბეკმა მეზობლებმა გამოიყვანეს, რომელთა წყალობითაც, დიდება მამაზეციერს, გადარჩნენ ცოცხლები.

როცა შიდა ჯიბიდან რაღაც საბუთების ამოღება დაიწყო, მოხუცი საგრძნობლად გამოცოცხლდა. გახევებული თითები რაღაცნაირად შრიალებდა ქაღალდზე. მოხუცმა პერგამენტის თითებზე დაინერწყვა და საჭირო ქაღალდი ამოიღო.

- მთავარია, რომ ეს მთელი გადარჩა! - სიამაყით წარმოთქვა მან და წიგნაკად დაკეცილი რაღაც ნახევრადწარხოცილი ფურცლები გვიჩვენა.

ეს დაბადების მოწმობა იყო.

“მამუკაძე მურად ჩახალის ძე, დაიბადა 1925 წელს, ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში”, - წაიკითხა შურამ ქართული ნაწერი და თვალები აუწყლიანდა.

- ეს ყველაზე დიდი განძია, - თქვა მოხუცმა და ეჭვიანი თვალი გამოგვაყოლა, ფრთხილად გვეჭირა თუ არა წიგნაკი.

- მე ჩემი გვარი შევინარჩუნე, და ეს არის მთავარი, - გააგრძელა მან. - რა, ცოტას მეუბნებოდნენ უზბეკები, ეს რა ქართული გვარი გაქვსო? გამოიცვალეო, მეუბნებიან, გვარი, შენ თურქი ხარ, ჩვენი ძმა, მაჰმადიანი, რაში გჭირდება ეს საქართველო, რომელიც არ გღებულობს და თავისიანად არ გცნობსო?

მე კი ვუთხარი: ა-ა-რ-ა! კი, მე მაჰმადიანი ვარ, ალაჰი მწამს - დიდება ზეციერს! ჩემს მიწაზე უარის თქმას კი ვერავინ მაიძულებს!

საქართველო ჩემი სამშობლოა, მე მისი შვილი ვარ. თქვენ იტყვით - დედაა, თავის შვილს კი არ ცნობსო? დიახ. მაგრამ მე მჯერა, რომ მას თვალი აეხილება და მზერაც დაეწმინდება.

ვინღა მიცნობს, თუ გვარს დავკარგავ? მე აწყურელი მამუკაძე ვარ!.. ისინიც, - მან ხელით შემოწერა თავისი ოჯახი.

ვუსმენდი მოხუცს და ასე მეგონა, ნაცნობ წიგნს ვფურცლავდი, თავად კი მისი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ვიყავი.

შურასთვის ბევრი რამ ახალი იყო და ის ცრემლებად იღვრებოდა, თვალებს დაჭმუჭნილი ცხვირსახოცით იწმენდდა.

მოხუცმა ფრთხილად გამოგვართვა თავისი მოწმობა და ისევ დაბამბული ჯუბის უბეში შეინახა.

როგორც უპატრონო ობოლი სიამაყით უჩვენებს ყველას დედისეულ მედალიონს - ნახეთ, მე ობოლი არა ვარ, აი დედაჩემი - ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი ქალი, ის მალე მიპოვის, აი ნახავთო! - მოხუციც ასე გვიჩვენებდა თავის ძველისძველ მეტრიკას.

მაგრამ დედა არ ცნობს თავის შვილს.

- მომშორდი, უბედურო! - გაავებული ყვირის ის, - როგორ შეიძლება შენ ჩემი შვილი იყო,როცა არც ჩემი ენა იცი, და არც ჩემი სარწმუნოება! შენ მოუხეშავი და გაუთლელი ხარ, შენი ნაკვთები შენს დაბალ წარმომავლობაზე მეტყველებს. მოშორდი აქედან, აზიელო არსებავ!..

- დედა!.. - ქვითინებს ბიჭი. - ნუთუ ვერ მცნობ? აი, ნახე... - აი, ნახე, - ეუბნება ის ქალს, ცრემლები ახრჩობს, აჩქარებით იღებს უბიდან დედისეულ მედალიონს, ეს ხომ შენ თვითონ მომეცი, საკუთარი თავი რომ არ დამევიწყებინა. ნახე, ეს ხომ შენი მედალიონია!..

ამან ქალი უფრო მეტად გააცეცხლა.

- რა?! საიდან გაქვს ეს მედალიონი? ა-ა-ა, შენ ის მოიპარე. გარდა იმისა, რომ მატყუარა ხარ, ქურდიც ყოფილხარ! ახლავე მომეცი, შე უბედურო!

- ეს რა დედაა ასეთი? - უკვირთ სცენის შემსწრეთ. - ნეტავ, დედამიწა როგორ ითმენს? ან ზეცა რატომ არ დასჯის, ღვიძლ შვილს წიხლს რომ ჰკრავს?

- ხმა აღარ ამოიღოთ! - აჩუმებს ხალხს ობოლი. - თქვენ არაფერი იცით. დედაჩემი ყველაზე უკეთესია. მაგრამ ის ავადაა... - გულისტკივილით ამბობს ის. - მე რომ მისი დახმარება შემეძლოს...

აი, პირველი, ვინ წაიკითხავს ჩემს მოთხრობას, შურა. უნდა დავურეკო. მაგრამ ჯერ გზა უნდა გავიკვლიო.

მივდიოდი და ხორკლიან ფიჭვებს ვეჭიდებოდი, გზის ზიგზაგი გადავკვეთე, რბილ მიწაში ვეფლობოდი, ერთი სული მქონდა სიბნელიდან გამომეღწია, სადღაც ხომ უნდა იყოს ქალაქი!..

მგონი, ეს სასაფლაოა. ცოტა დავმშვიდდი. - მიცვალებულთა სულები დამიცავენ-მეთქი, - ვიფიქრე. მამას გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულებისა აღარ მეშინია.

აი, ისიც, დაიწყო. მე სწრაფად ავდიოდი ბოლო სიმაღლეზე, თვალს ვავლებდი მონუმენტალურ საფლავის ქვებს და ცხაურების ნაცრისფერ მაქმანებს.

წინ სამი ფიგურა გამოიკვეთა. გამოცდილი მოსიარულის ნაბიჯით გავუსწარი მათ. ორი ქალი იყო - ხანდაზმული და ახალგაზრდა. თან ბიჭი ახლდათ. მან მოიხედა და ამათვალიერ-

ჩამათვალიერა, დავინახე, როგორ გაიელვა მისმა თვალებმა სიბნელეში.

ისინი ბილიკით დაეშვნენ სასაფლაოდან, რომელიც მარცხენა მხარეს მდებარეობდა და აღარა და აღარ მთავრდებოდა, სწრაფი სიარულის მიუხედავად. ეს სასაფლაო პრესტიჟულად ითვლებოდა, როგორც ნოვოდევიჩი სასაფლაო მოსკოვში და საერთოდ, როგორც ყველაფერი, რაც ამ რაიონში - ვაკეში იყო, რომელიც უკვე აქედან იწყებოდა.

როგორც იქნა, შვებით დავინახე საღამოს ქალაქი. იქ, დაბლა ტროლეიბუსის მავთულები ბენგალურ სინათლეებად ფეთქდებოდა, ბზინავდა სახლების ფანჯრები, ზანზალაკებივით ეკიდა მქრქალი ფარნები.

ზევიდან გადავხედე ყველაფერს, თავს ძლივს ვიკავებდი. მინდოდა, რაღაც მნიშვნელოვანი დამეყვირა ამ სიმაღლიდან, ან ერთბაშად ყველაფერს მოვხვეოდი: ამ ტროლეიბუსებსაც, მქრქალ ფარნებსაც და მდუმარე მთაწმინდასაც კი იმ სინათლეების ძეწკვით, მისი მწვერვალისკენ რომ მიიწევდნენ.

მინდოდა მოვხვეოდი ყველა ადამიანს ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, მომესმინა მათი არეული ლაპარაკი, ცრემლები შემეშრო მათთვის, დამემშვიდებინა ისინი.

მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი შემოქმედების სიხარული იყო. რომ მერე აღმაფრენას იმ დონორის სისუსტე შეცვლის, რომელმაც ახალშობილ მოთხრობას საკუთარი სისხლი მისცა.

მერე მე უმწეოდ ვიწვები და მივაყურებ კვლავ როგორ ივსება მაცოცხლებელი ძალით ჩემი სიღრმისეული წყაროს წყლები.

და გაუცნობიერებლად ვფიქრობდი იმ ბიჭზე, წეღან რომ მომხედა. ნეტავ, ვისი საფლავი ინახულეს მათ? შეიძლება, პაპის. წარმოვიდგინე, როგორ დარბოდა ბიჭი გრანეტის საფლავის ქვებს შორის და უდარდელად, ტკივილის გარეშე ფიქრობდა პაპაზე.

იქნებ, სულაც მამას საფლავი ინახულეს? ამ აზრმა დამგესლა. ქალები გაყუჩებულები მიაბიჯებდნენ, იქნებ, მართლაც ასეა? მაშინ, ალბათ, ბიჭი, უაზროდ დაჰყურებდა ფილას, ხელები ზურგს უკან ჰქონდა გადაჯვარედინებული. ვერ გაეგო რა კავშირი იყო მის ცოცხალ მამას და ამ ცივ ლოდს შორის.

ალბათ, მერე გაიხსენა, როგორ იწვა მამა კუბოში და ეს შეუცნობლის შიში სულს უყინავდა. სად წავიდა მამა? და რატომ?

მაგრამ მე მინდოდა, რომ ბიჭს პაპაზე ეფიქრა. რომ მთელ ამ გამყინავ საშინელებას ასე ადრე არ აევსო ბავშვის სული.

აი ის სანატრელი წრეც იქ, დაბლა.

აქ შემიძლია 9 ნომერ ტროლეიბუსში ჩავჯდე, რომელიც დავით აღმაშენებლის პროსპექტამდე მიმიყვანს. თუმცა ამ ქუჩას ყველანი, როგორც მიჩვეულები იყვნენ, პლეხანოვის, უფრო ხანდაზმულები კი, რომლებიც არანაირ სახელებს არ ცნობენ, მისი პირვანდელი სახელით - "მიხაილოვსკს" (დიდი მთავრის, მიხეილის საპატივცემულოდ) იხსენიებდნენ. იგივე ადამიანები კარლ მარქსის მოედანს უბრალოდ "ვორონცოვს" ეძახდნენ და ასევე ეძახდნენ მის მიმდებარე ხიდსაც. დიახ, სწორედ კავკასიაში მეფის ნაცვლის - გრაფ ვორონცოვის პატივსაცემად დაერქვა მოედანსაც და ხიდსაც სახელი.

თუმცა, თუ მკაცრად ისტორიულად მივუდგებით, უბრალოდ ხიდის, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამის აშენებაში ტიფლისში, ის ცხოველ მონაწილეობას იღებდა, მადლიერმა ქალაქელებმა კი მათი გრაფის სახელით მოხსენიება დაიწყეს.

სხვათა შორის, ამავე მოედანზე იდგა მეფისნაცვლის ძეგლი. იქნებ, ამიტომაც უწოდეს მოედანს მისი სახელი - როგორც მისი ბრწყინვალების ყოფნის ადგილი? თუმცა, მოგვიანებით, როგორც აქ ამბობენ, "ბოლშევიკების დროს", ძეგლი ჩამოაგდეს, სახელწოდება კი დარჩა.

არა, "ვორონცოვს" ამბობდა ყველა - დაწყებული მოხუცებული ქალებით, საგულდაგულოდ რომ ჰქონდათ დავარცხნილი და ძველებური სავარცხლით დამაგრებული თხელი თმა, ფერდაკარგული, დანაოჭებული ხელებით კი გაქუცული ხავერდის რედიკული ჰქონდათ ჩაბღუჯული და კოხტად გაკრეჭილი, ბზინვარებამდე გაპრიალებულ-ფეხსაცმლიანი (თბილისური თავმომწონეობის აუცილებელი ატრიბუტი) ჭაბუკებით დამთავრებული.

"ვორონცოვი" - ჩასძახოდნენ ყველანი ჩამვლელი ტაქსების ფანჯრებში და არავის ებადებოდა კითხვა - კი, მაგრამ, მაინც რა არის ეს "ვორონცოვიო?"

სწორედ იქ, ქალაქის ძველ უბანში, ტოტებგაშლილი ცაცხვებით გარშემორტყმულ აგურის კერძო სახლში იყო ერევნისაზე გადაცვლილი ჩემი ბინა, ერევნის ბინა კი თავის მხრივ, ნოვგოროდისაზე იყო გადაცვლილი, როცა ლენინგრადის საინჟინ-რო-სამშენებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გიგანტური ქიმკომბინატის მშენებლობაზე, ტალახს ვზელდი, "ზეკების" ბრიგადას ვმართავდი და ნოვგოროდელ სტუდენტებს სამშენებლო დისციპლინებს ვასწავლიდი... - თუმცა ეს სულ სხვა ამბავია.

ერევანში გადასახლდა 82 წლის ძია ზაქარი თავის ცოლთან, სათენიკასთან ერთად, რომელიც მისგან ჩუმად გვეუბნებოდა ხოლმე მე და დედას: "ეს ზაქარი კი არა, შაქარიაო!.." - და იღიმოდა.

ის გვიყვებოდა, როგორ მოისმინა პირველად ეს სიტყვები იმ დღეს, როდესაც ახალგაზრდა ზაქარიას ამხანაგები ახალგაზრდა სათენიკის სათხოვნელად მივიდნენ, როგორ გაწითლდა ის შაქარზე ნათქვამ სიტყვებზე, რომლებითაც ისინი ზაქარს აქებდნენ, და როგორ გაიქცა ის იმ სარდაფის სხვა პატარა ოთახში, სადაც შორეულ ნათესავებთან ცხოვრობდა და მათი მოსამსახურესავით იყო.

ისინი ორივენი - დეიდა სათენიკიც, და ძია ზაქარიც თურქე-თელი სომხები იყვნენ. მათი მშობლები 1915 წელს გამოქცევიან სომხების ხოცვა-ჟლეტას. ვინ სომხეთში გამოქცეულა, ვინ კი - და მათ შორის ისინიც - საქართველოში.

დეიდა სათენიკი ზოგჯერ თავისი დედისგან ნასწავლ თურქულ ენაზე გამომელაპარაკებოდა ხოლმე, და ეს ჩვენ რაღაცნაირად გვაახლოებდა, თუმცა სულ ცოტა ხანი იყო, რაც ერთმანეთი გავიცანით.

მათ თბილისიდან წასვლა არ უნდოდათ - მთელი ცხოვრება აქ ჰქონდათ გატარებული. აქ დაქორწინდნენ, აქ გაზარდეს შვილები, აქ დაბერდნენ. მათი ყველა შვილი, შვილიშვილები, მერე კი შვილთაშვილებიც თანდათან ერევანში გადასახლდნენ, ბოლოს კი ისინი მარტონი დარჩნენ ამ ქალაქში.

და თუმცა ჩვენი ბინების გაცვლის რთული მექანიზმი უკვე ამოქმედებული იყო, ძია ზაქარი ხშირად ამოიოხრებდა ხოლმე და ამბობდა: "არ მიყვარს მე ის სომხები, კლარაჯან! ქართველები სულ

სხვა საქმეა. ისინი ისეთი სტუმართმოყვარეები არიან - თუმცა მალე თვითონვე დარწმუნდებით.

სომხები კი - განსაკუთრებით კი ერევნელები! - სულ სხვა ხალხია. მე მათ სულ ვეუბნები ხოლმე: თქვენ ისეთივე უგულოები და სალები ხართ, როგორც თქვენი ქვები!..”

ასაკის მიუხედავად, ძია ზაქარი აღნაგი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, ლოყებზე სიბერის სიწითლით. ისე მარდად დარბოდა თბილისის კუზიან ქუჩებში, რომ ძლივს ვეწეოდი ხოლმე.

თუმცა მის თვალებს უკვე მორეოდა მღვრიე სისველე, და ზოგჯერ ის უკვე შორიდან იმზირებოდა, როცა ირგვლივ მყოფთათვის მიუწვდომელ რაღაცაზე ფიქრობდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში მისი ალერსიანი გამომეტყველება მის სახეზე ყოვნდებოდა და უცნაური იყო ოდესღაც ცისფერი თვალების გარინდული მზერისა და დავიწყებული ღიმილის ხილვა, რომელიც არავისკენ არ იყო მიმართული.

საერთოდ, მე შევამჩნიე, რომ მოხუცებსა და ბავშვებს ერთნაირი მზერა აქვთ.

თამაშობს ბავშვი თავისთვის, სათამაშოებს არჩევს, რაღაცას გაურკვევლად ლუღლუღებს, ხოლო როგორც კი თავს აწევს, ისეთი ნათელი და ღრმა მზერა აქვს, ისეთი არააქაურობა გადმოსკდება. ის იქიდან უმზერს სამყაროს ცნობისმოყვარეობით.

ხოლო მოხუცები, ამ ცხოვრებაში რომ მონაწილეობენ, უეცრად ირინდებიან და თვალჩაციებით იმზირებიან იქით, არასააქაოსკენ.

ერთნი მოდიან, სხვები მიდიან, და რაღაც მომენტში მარადიულობის კარიბჭეს გაივლიან. მე ასე მგონია, რომ კარი, რომელიც იღება, უფრო სწორედ კი ის, რასაც ისინი იქ ხედავენ, ერთმანეთს ამსგავსებს მათ.

ძია ზაქარი ჭეშმარიტად ხელოსანი კაცი იყო. ის მაღალი კლასის მეალფრესკე იყო (მეალფრესკე ჭერების, კედლების, მოცულობითი გამოსახულებების ან ელემენტების მოხატვას ეწევა - რედ. შენიშვნა).

თავის ბინაში, სადაც ახლა მე ვცხოვრობდი, მან თითქმის ხუთი მეტრის სიმაღლეზე მოხატა ჭერი. მის პარამეტრზე

გადაწნული იყო ვარდის უსასრულო ბუჩქები - ნაზი კვირტებით, გაშლილ-გაფურჩქნულები და ჭკნობაშეპარულები.

ეს ცხოვრების ჩაკეტილი წრესავით იყო - დაბადება, აყვავება, სიკვდილი და რომ გავიღვიძებდი, გულდასმით ვათვალიერებდი ხოლმე ძია ზაქარის ოსტატური ხელით გამოყვანილ ამ წნულებს.

ძია ზაქარმა ჩემი სახით მადლიერი მსმენელი იშოვა. ისე საინტერესოდ მიყვებოდა თავის ამბებს, რომ რაღაც-რაღაცების ჩაწერას ვაპირებდი. მაგრამ მაშინ საამისოდ არ მეცალა – მე უნდა შევსახლებულიყავი, ისინი კი უნდა გამოსახლებულიყვნენ, ბევრი სარბენი მქონდა, ურიცხვი ქაღალდი უნდა გამეფორმებინა, ახალ ადგილზე ცხოვრებას უნდა შევგუებოდი... ერთი სიტყვით, არ მეცალა.

საინტერესოა, რომ თურმე ძია ზაქარს ბერიასეული სახლების მოხატვაც უწევდა.

მოხუცი ოსტატის თქმით, ბერიას თბილისში ორი სახლი ჰქონია - ყორღანოვის ქუჩაზე – ძველი რომანტიკული ბაღით - და მაჩაბელზე. მოგვიანებით გავიგე, რომ თავისი კარიერის დასაწყისში, როდესაც ლავრენტი პავლეს ძე ჯერ ისევ მოკრძალებული ჩეკისტი იყო, მას არანაირი ცალკე სახლები არა ჰქონია... ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე სახლის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა.

მაგრამ ეს ადრე იყო. მერე კი ბერიას ორი სახლი ეკავა, თუმცა, ის ყოველთვის არ ჩამოდიოდა, ამ სახლებში ინტერიერის განახლება ყოველ წელს ხდებოდა. ამ დროისთვის ყოფილი მოკრძალებული ჩეკისტი მოსკოვში დიდი კაცი გახდა, თუმცა ზოგჯერ ჩამოდიოდა ხოლმე თბილისში, საიდანაც დაიწყო მისი გამალებული აღმასვლა ხელისუფლების ოლიმპზე.

ძია ზაქარს ახსოვდა სპეციფიკური წვრილმანები - მაგალითად, ის, რომ ლავრენტი პავლეს ძის საყვარელი ფერი ცისფერი იყო. თურმე მას უყვარდა ეს ფერი ყველა მისი ელფერით - ბაცი ცისფერიდან მუქ ლურჯამდე. და მისი ორი სახლის მთელი ინტერიერი სწორედ ამ ტონებში იყო გაფორმებული.

ძია ზაქარს არ უყვარდა ბერია.

- ხელოსნებს არასდროს ესალმებოდა, - ამბობდა იგი, - ისე ჩაგვივლიდა ხოლმე, თითქოს ვერ გვხედავდა. აქეთ-იქით მოავლებდა მზერას, თითქოს შენი გავლით იყურებაო.

საერთოდ, უზრდელი ადამიანი იყო, - წყრომით გააქნია თავი ძია ზაქარმა - იყო ხალხი, არ იყო - გაიხდიდა და დადიოდა თავისთვის ბაღში სატინის ტრუსის ამარა.

- ეს რა არის? - გავიკვირვე მე.

- როგორ თუ რა? - აი, ასეთი ტრუსი, - თქვა მან და ხელი მუხლზე გადაისვა, ჩვეულებრივი, ლურჯი სატინისა.

ამ ყველაზე საპატიო შეკვეთის გარდა, ძია ზაქარს სხვა შეკვეთების შესრულებაც უწევდა.

"... ისეც ყოფილა, რომ ვინმე დიდი კაცის სახლის გარე-მონტებას დავიწყებდით, მერე კი მივიდოდით და იქაურობა არეულ-დარეული დაგვხვდებოდა, ნივთები იატაკზე ყრია, პატრო-ნი კი არ ჩანს. ვდგავართ და არ ვიცით – გავაგრძელოთ მუშაობა თუ გუდანაბადი ავიკრათ.

ფორმიანი ადამიანები კი გვიყვირიან, თქვენი საქმე არ არის, რა ხდება, იმუშავეთ, იმუშავეთო...

ჩვენი ბრიგადირი - გვარად ბროუჩეკი იყო, ჩეხი... საერთოდ ჩვენს საქმეში ნამდვილი ასი იყო, ყველაფერი მასწავლა. მთელ თბილისში მასზე უკეთესად ევროპულ ორნამენტებში ვერავინ ერკვეოდა. ახლა როგორ მოხატავდა ხოლმე ამ ორნამენტებს. უჰ... ოსტატი იყო!

და იცით, კლარაჯან, მას შლაპა ჰქონდა, ჰალსტუხსაც ატარებდა... ხელოსანთაგან მარტო ის იცვამდა ასე კულტურულად.

ჰოდა, ეს ჩვენი ბროუჩეკი თავაზიანად მოიხდიდა ხოლმე შლაპას და კითხულობდა: "მაპატიეთ, ამხანაგო, გადახდით ვინ გადაგვიხდის?"

"ნუ წუხხარ, - ხარხარებდნენ სამხედროები, - ხაზინა გადა-იხდის!"

ხშირად მომხდარა ასე - სამუშაოს უკვე არასაცხოვრებელ სათავსოში ვამთავრებდით. თუმცა, რაც მართალია, მართალია, ანაზღაურებას სრულად ვიღებდით - ცოდვას ვერ ვიტყვი".

ძია ზაქარი მოხერხებულად მოეწყობოდა ხოლმე ძველ ტყავის სავარძელში და ახალი ამბის მოყოლას იწყებდა.

“ერთხელ მთაწმინდაზე ვმუშაობდით. ალბათ ნამყოფი ხართ იქ? მაშ კაფესაც ნახავდით? ჰო, მართალია, იქ ახლა უამრავი რამ ააშენეს. მაშინ კი ფუნიკულიორზე ეს ერთადერთი კაფე იყო. ჰოდა, ის კაფე ჩვენი აშენებულია.

კედლები უკვე ამოყვანილი იყო, ბიჭები დაბლა მუშაობდნენ, მე - მაღლა, ხარაჩოებზე, კედლების მოხატვით ვიყავი დაკავებული. ვდგავარ ჩემთვის ფუნჯით ხელში, ვუსტვენ. კარგ ხასიათზე ვარ. ყოველთვის კარგ ხასიათზე ვარ ხოლმე, როცა კი სამუშაო მაქვს. იმიტომ რომ მუშაობა მიყვარს. ორმოცდაათი წელი ერთი დღეც კი არ ვმჯდარვარ უსაქმოდ.

შემთხვევით დაბლა ჩავიხედე და ვერ გამიგია - რა ხდება? ყველას მიუტოვებია სამუშაო და მირბიან, თითქოს ცოფიან ძაღლს გაურბიანო. რა ამბავია? ფუნჯის დაშვება ვერ მოვასწარი, რომ შენობაში ქარივით შემოიჭრა ადამიანთა ჯგუფი. ყველა ფორმაშია, ქრომის ჭრაჭუნა ჩექმები ეცვათ, ყაწიმები, იარაღი ჰკიდიათ.

ცენტრში კი ბერია დგას.

ადგილზე გავშეშდი. ან კი სად უნდა გავქცეულიყავი? მან ერთი კი ასწია თავი და უმალ მის წინ გავჩნდი - მისმა თორმეტამდე ვაჟკაცმა სწრაფად ჩამომაგდო ხარაჩოებიდან.

როგორც ვიყავი, ფუნჯით ხელში, ვდგავარ მის წინ, - საღებავი კი წვეთავს და მცველებს გაპრიალებულ ჩექმებზე ეცემა.

ყველა გაჩუმებულია.

ბერიამ თვალები მოჭუტა - შეიძლება, იხსენებდა, სად ვყავდი ნანახი? - და ავისმომასწავებლად მკითხა: “ესე იგი, აშენებთ, არა?!”

ჭერი მოათვალიერა, მერე კედლებს მიუბრუნდა და იკითხა: “და რა, აქ დახურული იქნება?”

მე ცოცხალ-მკვდარი ვდგავარ, მარტო ამის თქმა მოვახერხე: “ჩემი საქმე ღებვაა. სამუშაოთა მწარმოებელს ჰკითხეთ”.

მან კი გააგრძელა: “ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ისხდებიან, ჭამენ, სვამენ, ილაპარაკებენ - და ამას ვერავინ დაინახავს?”

ვხედავ, თვალები გაუთეთრდა, ერთიანად გაიბერა, ვიფიქრე, სადაც არის გასკდება-მეთქი.

“ეს კედელი გამჭვირვალე უნდა იყოს!” - თითით მიანიშნა მან კედელზე. მერე შებრუნდა და გავიდა. დაცვა უკან გაჰყვა. და ეს ყველაფერი პირუჩუმრად მოხდა.

სული მოვითქვი. ბიჭები მომცვივდნენ - რა თქვა და რა თქვაო. მე კი ვუპასუხე: “მადლობა ღმერთს, გადავრჩით!”

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს კედელი მერე მაინც გამჭვირვალე გააკეთეს – წყობა დაშალეს და ვიტრინის შუშა ჩასვეს. აი, ასე იყო, კლარაჯან!”

უმალ მომინდა იმ სახლის ნახვა, რომელშიც ბერია ცხოვრობდა.

ყოფილი ყორღანოვის ქუჩა, რომელსაც მეფის გენერლის საპატივცემულოდ ერქვა ასე, უკვე ქიაჩელის ქუჩა იყო. როგორც ამიხსნეს, ის ვერის დაღმართიდან იწყება. იქ ლამაზი შადრევანიც დგას - ქალიშვილები “სამაიას” ცეკვავენ. არსებობს ასეთი აღმოსავლური სახელი სამაია, ვთქვი მე. შემესიტყვნენ: ცეკვას იმიტომ ჰქვია “სამაია”, რომ მას სამი ქალიშვილი ასრულებსო.

ადვილად ვიპოვე ეს შადრევანი. ცეკვაში გრაციოზულად გადახრილ ქალიშვილებს თავს ზევით ხონჩა უჭირავთ და ქანდაკების ბრმა თვალებით შეჰყურებენ მას. ხონჩიდან წყლის ჭავლი უნდა ამოფრქვეულიყო. მაგრამ ახლა შადრევანი დუმდა.

ეს მყისიერი ფოტოსურათივით იყო - ქალიშვილების ეშმაკური ღიმილი, ლამაზი სარტყელების აფრიალებული ბოლოები, გრძელი კაბების ნაოჭები, ტალღებად რომ მისდევდა მოცეკვავეებს. მსხვილ ნაწნავებს დიდი ხნის გაუწმენდავი სპილენძის მომწვანო ნადები აჩნდა.

შადრევნის გარშემო პატარა, ერთგვარად უდაბური ბაღჩა იყო გაშენებული, თუმცა მის კუთხეებში ორი-სამი დამჭკნარი ნაძვი იდგა. ბაღჩა წითელი აგურის სახლს ებჯინებოდა.

მიმოვიხედე – ნუთუ ეს სწორედ ის სახლია? და ბერია აქ “სატინის” ტრუსის ამარა დასეირნობდა?

საეჭვოა, გავიფიქრე მე. ეს სახლი ყველას დასანახად დგას, და არც ბაღჩაა ბაღი. არა მგონია, ლავრენტი პავლეს ძეს აქ ესეირნა. ის ასეთი კაცი არ იყო.

თუმცა სახლი საინტერესო იყო. როცა მას შადრევნის მხრიდან უყურებ, ის ხუთსართულიანია, იტალიური სტილის - პატარ-პატარა ქანდარებით, გადაბმული პატარა აივნებით, თაღოვანი ფანჯრებით.

ხოლო როცა ქიაჩელის ქუჩაზე ადიხარ, სახლი სამსართულიანი, სავსებით ძველი და რესპექტაბელური ხდება.

თუ იმ ვითარებას არ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ადამიანისთვის სახლი მეტისმეტად დიდი იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასში ბერია ცხოვრობდა.

იმ ფანჯრის ძებნა დავიწყე, საიდანაც შეიძლება ბერია ქუჩაში იმზირებოდა - ფარულად და განდგომილად, ისე, როგორც ჩვენი შინაური ძაღლი ჟულიკი - წარმოუდგენლად აგრესიული გერმანული ნაგაზი.

ის გაუნძრევლად იწვა ხოლმე, წაგრძელებული დრუნჩი გადაჯვარედინებულ თითებზე ჰქონდა ჩამოდებული. მარტო ყვითელ თვალებს ბრეცდა და ფხიზლად ადევნებდა თვალს იმას, რაც ეზოში ხდებოდა.

მისი გარეგნული მშვიდობისმოყვარეობით მოტყუებულები ხშირად ისჯებოდნენ. ასე მაგალითად, ერთხელ, დედაჩვენიც კი გახდა მისი მსხვერპლი, როცა მშვიდად მიუწია ჯამი. დღემდე მახსოვს ნაკბენი ფეხიდან სისხლის შადრევანი ამოსდიოდა.

მაშ, ფანჯარა, ალბათ ესაა, კუთხისაა. ან იქნებ აი ის, ისრულთაღიანი? გარედან ვერაფერს დაინახავ. შინით კი, ალბათ, კარგი ხილვადობაა.

ახლა ეს ბალუსტრადა მეორე და მესამე სართულს შორის? ის თაბაშირის მოაჯირებით მოჩარჩოებული თეთრი კიბის ბაქნით იყო წამოშვერილი, რომელიც მომრგვალებულ პატარა სვეტებს ეყრდნობოდა.

ბალუსტრადიდან კარგად ჩანდა ქალაქი მტკვრის მარცხენა ნაპირზე. იქნებ ბერია ამ ბალუსტრადაზე დადიოდა ტრუსის ამარა და თავის ფერმკრთალ სხეულს თბილისის მზეს უშვერდა?

სახლს შემოვუარე. კი, ალბათ ის არის. რაც შეეხება რომანტიკულ ბაღს, ვფიქრობ, ძია ზაქარს რაღაც აერია.

სახლთან "ჟიგული" იდგა. ზევიდან ჩანდა, როგორ იქექებოდა მანქანის სალონში ვიღაც ადამიანი.

ძველ კიბეზე დავეშვი – ზედა დონიდან ქვედაზე – ვცდილობდი ხახადაღებულ ღიობებში არ ჩამვარდნოდა ფეხი და მანქანასთან მივედი.

- ხომ არ იცით, ეს ის სახლია, რომელშიც ბერია ცხოვრობდა?

მამაკაცი ზურგშექცევით გადმოვიდა მანქანიდან, შემობრუნდა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ხელში ნაჯახი ეჭირა.

- არა, - მითხრა და ჩაიცინა, - ეს ის სახლი არ არის.

გუნება წამიხდა - უკვე შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ ბერია აქ ცხოვრობდა.

- ხომ არ იცით, ის სახლი სად არის?

- ვიცი, - მიპასუხა ძველებურადვე მომღიმარმა მამაკაცმა. სოხუმური აქცენტით შეუცდომლად საუბრობდა რუსულად. - თუ ამ ქუჩაზე ინებებთ გავლას და მზერას მარჯვნივ მიაპყრობთ, უთუოდ დაინახავთ ამ სახლს, ყვითელი ორსართულიანი ცალკე სახლია ბაღით.

ბაღი! ნამდვილად ყოფილა!

პირღიმილიანმა მამაკაცმა თვალი გამომაყოლა, მერე კი მანქანას მიუბრუნდა და თავის საქმეს მიხედა.

ტეხილი კიბით ავირბინე ზედა დონეზე – ქიაჩელის ქუჩაზე, სადაც სახლის მესამე სართული ერთგვარად პირველივით იყო, - და ფეხს ავუჩქარე, თან მარჯვნივ ვიყურებოდი. ბაღი არ იყო.

მივდიოდი და ვათვალიერებდი აგურის სახლებს, თან ვფიქრობდი, ალბათ როგორი მყუდრო ცხოვრებაა ამ სახლებშიმეთქი და თავს აღმომჩენად ვგრძნობდი, ისევე ვღელავდი, როგორც ლენინგრადული სტუდენტობისას, როცა პრიაჟკაზე ალექსანდრ ბლოკის სახლს ვეძებდი. ვათვალიერებდი შუკებს, ვაკვირდებოდი ცოკოლის სართულების უზარმაზარ ნაცრისფერ ბილიკებს, გოლიათების მიერ დაუდევრად გათლილებს რომ ჰგავდა. მაკვირვებდა კუთხოვანი სახლები, დაჭრილი ტორტის სეგმენტურ ნაჭრებს რომ ჰგავდნენ.

მაშინ არ ვიცოდი, რომ სახლებს ასე ახირების გამო კი არ აშენებდნენ, არამედ იმიტომ, რომ მიწა ძვირი იყო.

“მიწის რენტის გრიმასა”, - ასე თქვა ამის შესახებ მუდმივი სურდოთი გამოწვეული დუდღუნით ჩვენმა ფილოსოფიის მასწავლებელმა - უზარმაზარმა წვეროსანმა იაკოვლევმა. ლექციების დროს ის მაშინალურად იღებდა ხოლმე შარვლის ჯიბიდან უჯრედებიან ცხვირსახოცს და ჩემი გულის გასახეთქად ხმამაღლა იხოცავდა ცხვირს ისე, რომ მონოლოგს არ წყვეტდა.

როცა ლექციაზე ვაგვიანებდით და რაღაცას ვლუღლუღებ-დით გაფუჭებული მაღვიძარას შესახებ, ის საჩვენებელ თითს მაღლა სწევდა და უცვლელად წარმოთქვამდა: “დაიხსომეთ, მეგობრებო: ძილი კი არ არის უმაღლესი სიკეთე. შემეცნება - აი, რა არის უმაღლესი სიკეთე!” რის შემდეგაც ჩვენ სიცილისგან გაგუდულები, ვიძურწებოდით ჩვენ ჩვენი ადგილებისკენ.

ეს ასოციაციები უსასრულოა, ვუთხარი ჩემს თავს, მაინც სად არის ის წყეული სახლი?

ქუჩა დამთავრდა და უხეშად გათლილი ქვის გუმბათიანი სახლი დავინახე.

“ლურჯი მონასტერი, - წავიკითხე თუჯის ფირფიტაზე, - XII საუკუნის არქიტექტურის ძეგლი”. მე უკვე ვიცოდი, რას ნიშნავდა ქართულად “ლურჯი”, მაგრამ რა შეიძლებოდა ლურჯი ყოფილიყო მონასტრის ნაცრისფერ ქვებში - ალბათ მხოლოდ ის, რომ ის ცისკენ იყო ატყორცნილი?

გაიღო მასიური კარი, და შიდა სიბნელიდან ახალგაზრდა მამაკაცი და ქალიშვილი გამოვიდნენ. დილის სიცივისგან იშმუშნებოდნენ, რაღაცაზე მსჯელობდნენ და ჩქარი ნაბიჯით ჩამიარეს.

მინდოდა მეკითხა მათთვის, მაგრამ ვერ მოვასწარი, საერთოდ, ყველაფერი უცნაური იყო - დილა, იდუმალი მონას-ტერი, ირგვლივ არავინ.

გაურკვეველ გრძნობას აყოლილი მივაწექი ლითონის ზოლებით მოჭედილ ხის კარს და შიგნით აღმოვჩნდი.

იყო სიჩუმე, სიცარიელე და სიბნელე.

წვრილი სანთლების სინათლეები ციმციმებდა. შორეულ კუთხეში მოხდენილი, საგულდაგულოდ დავარცხნილი ქალი იდგა და როგორღაც დაძაბული, ყურადღებით შესცქეროდა ხატს.

შესასვლელთან, კუთხეში მსახური ქალი იჯდა, რომელიც მხრებზე მოსხმულ ძველ პალტოში იფუთნებოდა, თავი დაეხარა და დამჭკნარი თითებით არჩევდა სანთლებს. გვერდით, მაგიდაზე იდო ლითონის თეფში მონეტებით, რომელიც სანახევროდ გაზეთ “ზარია ვოსტოკათი” იყო დაფარული.

ხატების თვალიერება დავიწყე, უნებლიედ ვუვლიდი გვერდს დაფენილ სახლეებს. ეს ძირითადად ახალი, წმინდანების ახლახან

შესრულებული გამოსახულებები იყო. ზოგან წმინდა გიორგის გამოსახულებიანი სპილენძის გრავიურებიც კი ეკიდა, რომლებიც არამც და არამც არ აღიქმებოდა ხატებად. ბევრი მათგანის წინ ძეწკვებზე სახიანი ლითონის პატარა ჯამები იყო ჩამოკიდებული, რომლებშიც ცეცხლის პატარა პატრუქები ცახცახებდა. ხელოვნური ყვავილების პატარ-პატარა კონებით შემკული მცირე ზომის ხატები, პატარა ცვილის სანთლების ოქროსფერი სინათლეები, ხალიჩის სახლეები ყოველ კუთხეში შინაურ სიმყუდროვეს ქმნიდა.

თუმცა ეს თბილი მყუდროება, ისევე არამდგრადი, როგორც ციცქნა სანთლების ალი, ვერ ჯაბნიდა უზარმაზარი სივრცის და ტაძრის ირგვლივ აღმართული უხეში ქვების სიცივეს.

ეს თვალსაჩინოებასავით იყო - ადამიანის მერწევი სიცოცხლე, ცივ მარადიულობაში ჩუმად რომ ბჟუტავდა.

იქნებ ასეც უნდა იყოს – უზარმაზარი სივრცის, მარადიულობის, გულგრილობისა და სიცივის მიუხედავად, სიცოცხლის შენეული კანდელი უნდა დაანთო და არ ჩააქრო ეს მთრთოლარე სინათლე.

წრე რომ დავარტყი, კარის სახელურს მოვკიდე ხელი. მსახურმა ქალმა საყვედურიანი მზერა გამომაყოლა - მე ისე ვტოვებდი იქაურობას, რომ სანთელი არ დამინთია, მაგრამ მე ცასთან კავშირი არა მქონია და უპატიოსნობა იქნებოდა, ისე მომეჩვენებინა თავი, თითქოს მე ურთიერთობის ამ არხს ვფლობ.

მაშ ასე, მარცხენა მხარეს ყველაფერი დავათვალიერეთ. ხოლო მარჯვენა მხარეს?

ქუჩას ხელმარჯვნივ ორსართულიანი ცალკე სახლი ასრულებდა. სახლის გარშემო ბაღი იყო გაშენებული, რომელიც დაბლა ეშვებოდა. ბუჩქები ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ, თითქოს გადაჩეხვის ეშინოდათო. ხეების შიშველი ტოტები დილის სიცივეში გარინდულიყვნენ, გაშიშვლებული ბუჩქები აბურდული მავთულის გორგლებს ჰგავდნენ. ალბათ გაზაფხულზე აქ ლამაზია ხოლმე.

სახლი ზედ ფლატეს თავზე იდგა. გეგონებოდა, სადაც არის, აფრინდებაო.

დაბლა მტკვარი ხმაურობდა, მოძრაობდა მანქანების დილის ნაკადი, ზევიდან მანქანები სათამაშოებს ჰგავდა, ჭიანჭველებივით

მიცოცავდნენ პაწაწინა ადამიანები. სახლი გზისკენ ზურგშექცე-ული იდგა, ცხაურით შემოვლებული, რომლის მიღმაც ამაოდ ვცდილობდი სახლის სახის დანახვას.

კი, ნამდვილად ის იყო! შეიძლებოდა, რომ ბერიას ასეთ სახლში ეცხოვრა. თუმცა, სახლის მონასტერთან მეზობლობა მაშფოთებდა. როგორ მოხდა, რომ ათეიზმით აღტყინებულს უფრო სწორედ კი უბრალოდ ჟინით შეპყრობილს მონასტრის დანგრევა არ უბრძანებია?

კი, ასეთ ბაღში თავისუფლად შეიძლებოდა ტრუსის ამარა სეირნობა. არა-არა, - არა ზაქარი არ შემცდარა.

გული დამწყდა, რომ ძია ზაქარს ვეღარ ვნახავდი და ვეღარც დეიდა სათენიკის გრილ ხელს ვიგრძნობდი ცხელ შუბლზე, როცა ბარგის ერევნიდან გადმოტანისას საშინლად გაციებული ჩავწექი ლოგინში, ეს კეთილი მოხუცები კი მთელი ათი დღე მივლიდნენ, ვიდრე ფეხზე არ დავდექი და მათ მიერ ამ ქალაქში ცხოვრების ორმოცდაათი წლის მანძილზე შეძენილი ძველი ნივთებით სავსე ჭრიალა სატვირთო მანქანა არ გავაცილე.

ტყავის სავარძელი უმწეოდ იყო დაბმული საოჯახო ნივთების თავზე – სხვადასხვა მხარეს უმწეოდ გაჩაჩხული ფეხებით მაღლა, მოხუცებმა კი სუსტად დამიქნიეს ხელი, აჩქარებით მიიხურეს კაბინის კარი, და სატვირთო მანქანა ნელა გაცურდა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის კუზიან ქუჩაზე...

... მაშ ასე, მე ბაგებში წრეზე ვიდექი და ტრანსპორტს ველოდებოდი.

ცხრა ნომერი ტროლეიბუსი დიდხანს არ ჩანდა. რვა ნომერი მოვიდა. შევფიქრიანდი, დაველოდო თუ არა ცხრა ნომერს? იქნებ სულაც რვა ნომრით წავიდე?

მართალია, ასეთ შემთხვევაში მე აღმაშენებელზე კი არ ჩამოვიდოდი, არამედ რუსთაველზე. თუმცა იქ შეიძლება პროსპექტზე ფეხით გავიარო ლენინის მოედნამდე, რომელსაც ახლახან სახელი გადაერქვა და თავისუფლების მოედანი ეწოდა, მერე კი მეტროში ჩავიდე, ორი გაჩერება გავიარო, მარჯანიშვილზე ამოვიდე, და ასე აღმოვჩნდე პლეხანოვის ქუჩაზე, სახლთან უფრო ახლოს, ვიდრე ცხრა ნომრის შემთხვევაში.

რატომაც არა, - გავიფიქრე. დღეს კარგად ვიმუშავე და ბოლოს და ბოლოს დავიმსახურე რუსთაველზე გასეირნება.

ვიგრძენი კიდეც კოხტად გამოწყობილი ხალხი, ვიტრინების ბზინვა და უსაქმურობის განსაკუთრებული სურნელი, რომელიც ყოველთვის და ტრიალებდა რუსთაველის პროსპექტს.

საერთოდ, ქართველები განუყოფლები არიან უსაქმურობასთან. ადრე არასდროს მენახა ამდენი ქართველი ერთად და ამიტომაც დიდხანს ვერ გამეგო, რით განსხვავდებოდნენ ისინი ასე ძალიან, ვთქვათ, რუსებისგან?

ორი-სამი ქართველი ერთად - ეს უკვე მოცლილი ხალხია. ამასთან ეს განსაკუთრებული სახის მოცალეობაა. არა არაფრის-კეთების გაგებით, არამედ სიცოცხლის დღესასწაულის გაგებით.

რაგინდ მნიშვნელოვანი საქმითაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი დაკავებულები, ჯერ იყო სიცოცხლის დღესასწაული, არსებობის სიხარული, და მერე უკვე - ყოველივე დანარჩენი.

თუმცა შეიძლება მთავრობის სახლამდე მივიდე, იქიდან კი კომუნარების ბაღის გავლით, რომელსაც კვლავინდებურად ალექსანდრეს ბაღი ერქვა, კოლმეურნეობის მოედანზე დავეშვა და ვორონცოვის ხიდი გადავჭრა.

ასეც შეიძლება, გავიფიქრე და მარჯვენა ფანჯარასთან დავჯექი. ტროლეიბუსი სანახევროდ თუ გაივსო, თუმცა ვიცოდი, რომ უნივერსიტეტის გაჩერებაზე შიგ ვეღარ შეაღწევდი.

ტროლეიბუსი დაიძრა, წრე დაარტყა და რბილად გაცურდა. ყოველ მომდევნო გაჩერებაზე ის უფრო და უფრო მეტად ივსებოდა და მე გაფანტული ყურადღებით ვაყოლებდი თვალს, ჩავლილ ქუჩებსა და სახლებს, ამასთან სულ მოთხრობაზე ვფიქრობდი.

წინ სიხარული მიგორავდა ბორბალივით. და ეს ჩემი პირველი მოთხრობა იყო. მე ვხედავდი მას, ამ ბორბალს, თავისით რომ მიგორავდა, ბორბალს, მე რომ წრეში მოვაქციე, ჩავკეტე და ბოლო წერტილი დავსვი მასში.

ახლა კი ის წინ მიგორავდა და თავისი დასრულებულობით მახარებდა.

სამუშაო დღის ბოლო იყო, გაჩერებებს თითოს გამოშვებით აცხადებდნენ, მე კი მძღოლის სალონის ტიხარს, საჭვრეტი სარკის აქეთ-იქით მხარეს ჩამოკონწიალებულ ძნელსაცნაურ ფიგურებს

ვუყურებდი უაზროდ და სარკეში დაჟინებული მზერა დავიჭირე – მძღოლი გაოცებული მიყურებდა. თვალი ავარიდე და ცოტა ხანში მოპირდაპირედ მჯდომი მამაკაცის ცნობისმოყვარე მზერა დავინახე.

რუსთაველის მეტროსთან ყველა გასასვლელისკენ დაიძრა. ბრბოს ჯოგურ გრძნობას დამორჩილებული მეც გავყევი ჩამსვლელებს. სულ ერთია ჩასვლა მაინც მომიწევდა: ტროლეიბუსების ამის იქით აღარ დადიოდა - ერთი კვირა იყო, რაც ქალაქში დაპირისპირება დაიწყო.

წინა გასასვლელთან ლითონის რიტმული კაკუნი ისმოდა – სალაროში ჩამსვლელთა მონეტები ცვიოდა და იმის ხმა იყო.

მძღოლი სალაროსთან იდგა და უყურებდა, როგორ ავსებდნენ და ვერ გაევსოთ მონეტებს მისი უძირო სტომაქი. ხელები შარვლის ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი და ნებიერად იყო ჩამოყრდნობილი ტიხარს. მე ამ დაღლილ ფიგურაშიც კი დავინახე მცონარობა და ღიმილით გავუწოდე ხუთკაპიკიანი.

მისი მეტყველი გამოხედვა დავიჭირე, მოულოდნელად მან თითებზე ხელი მომიჭირა, მე კი კვლავინდებურად ღიმილით, ფრთხილად გავითავისუფლე ისინი.

ისევ რუსი ვგონივარ, გავიფიქრე და ჩამოვედი. საინტერესოა, როდის აღარ ვიქნები თავისიანი უცხოთა შორის და უცხო ჩემიანებს შორის?

რუსთაველის პროსპექტი ბარიკადებით იყო გადაკეტილი. ახლა ის თითქოს ორი ნაწილისგან შედგებოდა – იმელამდე (უკვე ყოფილ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტამდე), რომელიც ახლა სსდპ-ს – საქართველოს სახალხო-დემოკრატიული პარტიის, არსებითად კი მთელი ოპოზიციის შტაბად იყო გადაქცეული. და მის იქით, სადაც ბარიკადები იყო აღმართული, უფრო სწორედ, ერთი ბარიკადა - შთამბეჭდავი ზომის მილი, რომელიც ფანტასტიკური ზარბაზნის პირს ჰგავდა, მის გარშემო კი სამშენებლო კონსტრუქციების ნამსხვრევები იყო.

სწორედ ამას იღებდნენ ქრონიკიორები. სხვადასხვა მხრიდან მილი სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა და მაყურებლებს ეჩვენებოდათ, რომ მთელი ქალაქი ბარიკადებით იყო ჩახერგილი.

ყოფილი “იმელის” შენობასთან თავისი, ბანაკის ცხოვრება მიმდინარეობდა – დროშებისა და ლოზუნგების ქვეშ, ერთ მწკრივად ჩამორიგებული გასაშლელი საწოლები, რომლებზეც მოშიმშილეები იწვნენ. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, წვერმოშვებულები, მსხვილუჯრედებიანი ბაიკის საბნები ეხურათ.

არა, ეს პირისპირ დგომა ბავშვურ თამაშს უფრო ჰგავდა. ბარიკადების ორივე მხარეს ხალხი იკრიბებოდა. თავიდან ისინი უბრალოდ გაივლ-გამოივლიდნენ, თითქოს ერთმანეთს ვერ ამჩნევდნენო. მერე უცბად ხმამაღლა კამათს იწყებდნენ, აშკარად საკუთარი თავის წასაქეზებლად.

უკვე მერამდენე დღე იყო, რაც ფოტო და კინოჟურნალისტები ვახტზე იდგნენ. ისინი აუჩქარებლად ამზადებდნენ თავიანთ აპარატურას (მათი მოძრაობები უხალისოც კი იყო), თუმცა იმავდროულად მახვილი თვალით იყურებოდნენ აქეთ-იქით მძაფრი სიტუაციების მოლოდინში.

როგორც დიასახლისი, რომელმაც ცომი მოზილა და ახლა ჩუმად ზის და ელოდება, როდის აფუვდება, ის მომენტი რომ არ გამოეპაროს, როცა სწრაფად უნდა შეუდგეს პეროგების გამოცხობას.

მართალია, დიასახლისისგან განსხვავებით, ცომი მათ არ მოუზელიათ. ამ ცომით მათ თავისი პეროგები უნდა გამოეცხოთ.

და პეროგები, ანუ ფოტოგრაფიები ჩინებული გამოდიოდა. აქედან არცთუ შორს, საქინფორმის ვიტრინაში, რომელსაც სულ ახლახან რუსულადაც საქინფორმი ეწოდა გრუზინფორმის ნაცვლად, მეტყველი ფოტოსურათები ყო გამოფენილი - ოპოზიციური რიგები და პერმანენტული მიტინგური ცხოვრება მთავრობის სახლთან.

ვნებათაღელვა ზუსტად და ცოცხლად იყო დაჭერილი, მაგრამ რაც უფრო ობიექტურად და პროფესიონალურად იყო გაკეთებული ფოტოგრაფიები, მით უფრო მეტად იბნეოდა საქმეში ჩაუხედავი მაყურებელი, ჩვენები სადღა არიან, ან მტრები სადღა არიანო?

ფოტოსურათებზე მტრები არ იყვნენ. იყო თვალწარმტაცი ფიგურები, ლამაზი სახეები საკუთარი პოზიციის შენარჩუნების, საკუთარი ლიდერის ბოლომდე დაცვის ჟინით შეპყრობილები მაშინაც კი, თუ იმ პისტოლეტის ამოქმედება დასჭირდებათ, ახლა

რომ ხელში უჭირავთ ან იმ ავტომატის მკერდში სიყვარულით აქვს ჩაკრული.

დიახ, იარაღი ბევრი იყო, ძალიან ბევრი. რაღაც პისტოლეტები, ნაგანები, რევოლვერები, ავტომატები, ტყვიამფრქვევები, სანადირო თოფები, ბუტაფორიების მსგავსი ხმლები, ხანჯლები, მოკლე დანები, ფინური დანა – ამ ყველაფერს ბიჭის ნაზ ხელებში ათამაშებდნენ, ავტომატებს მხარზე იკიდებდნენ, ხელში პატარა ანანასების მსგავს ხელყუმბარებს ატრიალებდნენ, გეგონებოდათ იარაღი სიხარულისგან და მოუთმენლობისგან ხტის, როგორც იქნა გაგვიხსენეს, როდის იქნება, რომ ავმოქმედდებითო?

უცნაური იყო სახიფათოს და ნაზის შეთავსების საშიში ცივი იარაღის, ჩახმახების, ლულების და იმ ბიჭების ნაზი სახეების ხილვა, იარაღს რომ ათამაშებდნენ ხელში.

არ იგრძნობოდა არავითარი სიფრთხილე მისი ხელში ჭერისას, პირიქით, სიხარულისა და კმაყოფილებისგან თვალები უბრწყინავდათ. იარაღის ფლობით მოგვრილი მარადიული მამაკაცური, უფრო კი ბიჭური სიხარული. დრო მოვიდა და ის მათ ხელთა აქვთ!

და აქედან მომდინარე სიძლიერის, სიძლიერისა და ყველაფრის ნებადართულობის შეგრძნება. რამეთუ ყველაფერი ნებადართულია მისთვის, ვისაც ძალა აქვს.

ზედ მეტროს წინ შოთა რუსთაველის ძეგლი იდგა. სულ ახლახან დაამთავრეს მისი რესტავრირება. მისი პოემის, "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების ბარელიეფით დამშვენებული პიედესტალი, ფრონტონი, აგრეთვე პატარა ლამაზი შადრევნები (წყლის ჭავლები სიმპათიური ლომების დაღებული ხახებიდან გადმოედინებოდა) - ეს ყველაფერი ყავისფერი გრანიტის იყო. ხელუხლებელი მარტო პოეტის ფიგურა დარჩა.

პოეტი ოდნავ უკანგადახრილი იდგა, თითქოს მარცხენა მხარზე ბალთით შეკრული ანტიკური მოსასხამი ეწეოდა უკან. მაღალი წვეტიანი ფაფახი ეხურა, კოხტაჩექმიანი ფეხი წინ ჰქონდა წადგმული, ძირს დაშვებულ ხელში კი გრაგნილი ეჭირა.

ეს რუსთაველის კლასიკური გამოსახულება იყო. დიდი მესხი პოეტის – დავამატებდი მე, ვინაიდან პოემის ბოლო სტრიქონები პირდაპირ მეტყველებს ამაზე: "ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე

რუსთველისა ამისა...” მას რომ ახლა ეცოცხლა, საქართველო მასაც უარყოფდა...

პოეტს ხელთ ლექსებიანი გრაგნილი ეპყრა და განყენებული მზერით შესცქეროდა ყვითელი ტუფით მოპირკეთებულ, დაკბილულ პარაპეტიან შენობას, მისი დამაგვირგვინებელი პატარა კოშკითა და შპილით.

ღმერთო, ყველა სტილი გადამავიწყდა, გავიფიქრე, როცა შევეცადე გამეხსენებინა მაინც რომელს განეკუთვნებოდა სახელდობრ ეს, არადა, ოდესღაც, სტუდენტები რომ ვიყავით, იმით ვერთობოდით, რომ ფოტოსურათების სქელი დასტიდან ალალბედზე ამოვიღებდით ხოლმე არქიტექტურულ ძეგლებს და შეუმცდარად ვასხვავებდით ბაროკოს მოდერნისგან, კლასიციზმს კი გოთიკისგან.

ალბათ, უფრო მოდერნია-მეთქი, გავიფიქრე, - ეკლექტიკა, სტილიზატორობა.

მე, ისევე, როგორც რუსთაველი, ვუყურებდი ამ შენობას, რომელსაც გვერდიდან კინოს სახლი ერქვა, მთავარი ფასადიდან კი მეცნიერებათა აკადემია, და ვფიქრობდი, მაინც საით წავიდე-მეთქი. ქუჩაში დადიოდნენ სეირნობიდან დაბრუნებული ადამია-ნები ხელში ესკიმოთი. ზოგი დამშეულივით ხარბად შეექცეოდა.

ო, არა, ნაყინი საჭმელი არ არის. ნაყინი სიამოვნებაა, და ის ნება-ნება უნდა მიირთვა, უნდა ტკბებოდე და ისე.

სანაყინეში წავალ, სად წავალ და სანაყინეში!

პირში ცივი სურნელიც კი ვიგრძენი, ენას და სასას რომ ელამუნებოდა.

კაფეში უამრავი ხალხი იყო, დახლთან კი ჩემდა გასაკვირად რიგი არ იდგა. გამყიდველმა ქალმა ალუმინის მაღალი კასრიდან ნაყინის ნარჩენები ამოხაპა. მერე კასრი ფორმიდან ამოიღო და წაიღო, წინგაწვდილი ხელებით მიჰქონდა ეგზოტიკური დო-ლივით.

მე ბორდოსფერ დერმანტინგადაკრულ დახლთან ვიდექი, ხელში კუპიურას ვატრიალებდი და ვფიქრობდი, მეყოფოდა თუ არა ხუთი მანეთიდან მიღებული ხურდა მორიგ ხელფასამდე. თუმცაა როდის გასცემენ ამ ხელფასს ისიც უცნობია. ამბობენ,

ბანკში ფული არ არისო და უკვე მეორე თვე იყო, ვალებით მიწევდა ცხოვრება.

როგორც ჟვანეცკიმ თქვა: “ისინი ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს გვიხდიან, ჩვენ კი ისე ვაჩვენებთ თავს, თითქოს ვმუშაობთ”. მაგრამ მე ვმუშაობ! და ინსტინქტურად ისე ჩავიკარი გულში პარკი, რომელშიც დაწერილი მოთხრობა იდო, როგორც ბავშვი, რომელსაც უნდა ვუფრთხილდებოდე.

ამასობაში ჩემი გამყიდველიც გამოჩნდა. თავის ამხანაგ ქალთან ერთად ნაყინით პირამდე სავსე დიდი მომინანქრებული ქვაბი მოჰქონდა, მერე მათ ჭურჭელი სადგარზე შემოდგეს. იმ დამხმარე ქალმა რაღაც გადაულაპარაკა მეორე ქალს, რომელიც იქვე იდგა, ჩვეულებრივ შვიდმანეთიან ელექტროყავადანში ყავას ხარშავდა და პლასტმასის კოვზით ურევდა. ამ ქალმა თავი დაუქნია ისე, რომ ამოსული ქაფისთვის თვალი არ მოუშორებია.

ყველას ერთნაირი ტრიკოტაჟის მაისურები ეცვათ, მკერდის მარცხენა მხარეს მოქარგული ტიტით, თავზე კი გვირგვინების მსგავსი თეთრი მაქმანის თავსამკაული ეკეთათ.

საინტერესოა, ვინ უქსოვს ამ მაქმანებს-მეთქი გავიფიქრე და ვუთხარი: “ორასი გრამი სიროფით”.

გამყიდველმა ნაყინში პატარა ჩამჩა ჩაასო და ლითონის ფიალაში ორი ყვითელი ბურთულა დადო. სასწორი აქანავდა, მერე კი საჭირო დანაყოფზე გაჩერდა. ისე, რომ სახის შეფიქრიანებული გამომეტყველება არ შეუცვლია, გამყიდველმა ფიალა სასწორიდან გადმოიღო და ბურთულებს ვარდისფერი სიროფი მოასხა. ნაყინმა რკალი შემოხაზა და ჩემ წინ აღმოჩნდა. მე ფული გავუწოდე. გამყიდველი ხურდის თვლას შეუდგა და ინტერესით დამაცქერდა.

ფიალას დავწვდი, ყავაც ავიღე, ერთდროულად სიცივეც ვიგრძენი და სითბოც. თავისუფალი ადგილის ძებნა დავიწყე.

სარკიან კედელს რომ ჩავუარე, ჩემს გამოსახულებას შევხედე, ნეტავ, რას უნდა დაეინტერესებინა ის დაღლილი ქალი? - და საკუთარ გაბრწყინებულ მზერას გადავაწყდი, თვალებიდან სიხარულის გრძნობა იფრქვეოდა.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ახლა გასაგებია, რატომაც მაყოლებდნენ გზაში თვალს. ის საყვარელი ბიჭიც... ნეტავ მამამისი ცოცხალი იყოს!..

და არაფერი საჭირო არ არის “შენიანებზე” და “უცხოებზე” ფიქრი.

ვიტრინასთან თავისუფლება იყო. გვერდზე დავჯექი – ასე ქუჩაც ჩანდა და დარბაზში ყურებაც შეიძლებოდა.

ყავა მოვსვი. ძალიან გემრიელი იყო: მომწარო ქაფი და მაშინვე დაყოლებული ერთი კოვზი ნაყინი, რომელიც ნაზად დნებოდა პირში. თვალები დავხუჭე და სურნელოვანი ნაყინის ლუკმის ცივი სიგლუვე ვიგრძენი.

ყლუპი ყავა - ერთი კოვზი ნაყინი. რა თქმა უნდა, ყავა უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო, - გავიფიქრე, - ისეთი, როგორც მაგალითად, ერევანშია, თუმცა ნაყინთან ერთად მას გემრიელი ეთქმოდა.

ყავის სხვა ისეთი ქალაქი, როგორიც ერევანია, არ მინახავს. ახლადდაფქული მოხალული ყავის სურნელი მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ყველგან ჭურვების პატარა ჰილზების მსგავს ხელის საფქვავებს ატრიალებდნენ, ყავას მოხდენილ სპილენძის ჯეზვეებში ხარშავდნენ და პაწაწა ფინჯნებით სვამდნენ. და ეს სურნელიც, უნაზესი კონსისტენციის სქელი მუქი ყავისფერი ქაფი და საშინელი მწკლარტე გემო - ეს ყველაფერი სასიამოვნო და თავისებური იყო.

- აქ თავისუფალია? - მკითხა პოლკოვნიკის ფორმიანმა ხნიერმა კაცმა და თავის დაქნევით რომ ვანიშნე კი-მეთქი, ყავა და ნაყინი მაგიდაზე დადგა.

მუნდირი ძალიან კოხტად ადგა ტანზე. სწორი იქნებოდა გვეთქვა, შეზრდილი იყო მასთან როგორც ხე შეეზრდება ხოლმე ფესვებით მიწას. ეტყობოდა, კარგა ხნის გადამდგარი იყო - ხნიერი, მაგრამ არა დაჩაჩანაკებული, უფრო რაღაცნაირად გახევებული, ყველაფერი მოუხრელი ჰქონდა - კისერი, ხელები, ფეხები, ზურგი. ჭაღარა ულვაშები და წარბებიც კი ჯაგარივით ჰქონდა აბზეკილი.

ნაყინიანი კოვზი მის თითებში სათამაშო კოვზს ჰგავდა. ყავა მოსვა და აუჩქარებლად შეუდგა ნაყინის ჭამას.

იმაში, რომ საბჭოთა არმიის მუნდირი ეცვა და მკერდსაც საბჭოთა საბრძოლო ჯილდოები უმშვენებდა, ერთგვარი გამოწვევა იგრძნობოდა, თუმცა მას, ისევე, როგორც მე, ყურადღებას არავინ აქცევდა.

კაფეში მყოფთ არსად ეჩქარებოდათ. თეთრ პლასტიკის სკამებზე არხეინად მოკალათებულები ბაასობდნენ, ქუჩაში იმზირებოდნენ, ეწეოდნენ და იცინოდნენ. გამვლელები კი, თავის მხრივ, კაფეში კოქტეილის მაღალი ჭიქებითა და ყავის პატარა ფინჯნებით მსხდომთ უყურებდნენ და კოქტეილის მაღალი ჭიქებიანი და ყავის ფინჯნებიანი (ფინჯნების ნაწილი გადაბრუნებული იყო, რათა ყავის ნალექს მათი ბედი ეწინასწარმეტყველა) მაგიდებთან არხეინად მსხდომთა უდარდელობის შემხედველი, თვითონაც შემოდიოდნენ კაფეში, მოხერხებულად სხდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ მოცლილ გამვლელ-გამომვლელებს. ეს იყო უფასო სპექტაკლი – ცხოვრება. და მე ხარბი ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი მას. ჯერ კიდევ არ შევჩვეულიყავი ქართული სახეების მასობრივ სილამაზეს და ანგარიშმიუცემლად ვტკბებოდი თვალების ელვარებით, ნაზი წითელი ფერით და უზადო ნაკვთებით.

ეს ქალიშვილი გუდიაშვილის ტილოებიდან არის გადმოსული. ხშირი ოქროსფერი თმა ჰქონდა შუბლზე შეკრეჭილი “ჩოლკით”, რომელიც ნათელი შუბლის ნახევარს უფარავდა. მოშვილდული წარბები, ცინცხალი ელვარე თვალები და ჭირვეულად პატარა პირი. ქალიშვილის სახე ერთდროულად ბავშვურიც იყო და ქალურიც. გულუბრყვილობისა და მგრძნობელობის ეს შეხამება ყოველთვის მაკვირვებდა გუდიაშვილის ნამუშევრებში. მე ჯერ მის რეპროდუქციებს გავეცანი და მერეღა ვნახე მისი ორიგინალები. პრიალა რეპროდუქციებზე ეგზოტიკურ პერსონაჟებს რომ ვათვალიერებდი, მიკვირდა საიდან აიღო მან ასეთი სახეები-მეთქი.

სადღაც გენეტიკური ფონდის სიღრმეში ბუნებას საიდუმლო ფორმა ჰქონდა, და ის უსასრულო რაოდენობით ბეჭდავდა ამ სახეებს. მე ვხედავდი მათ - კუდრაჭა ხუჭუჭთმიან გოგონებს, ნაზ ქალიშვილებს, ხანდაზმულ ლამაზმანებს...

ჩაიარეს სამხედროფორმიანმა ახალგაზრდებმა. შინდისფერი - ქართული დროშის ფერი დროშები მოგვიანებით გაჩნდა. ჯერჯერობით კი მათ კეპები ეხურათ, რომელთა კოკარდაზე უკვე ახალი ქართული გერბები იყო დამაგრებული - შვიდქიმიანი ვარსკვლავები საქართველოს მფარველი, თეთრი გიორგით.

მათ საქმიანად და ყინჩად ჩაიარეს. სახეები ახალგაზრდობითა და მოზღვავებული სიცოცხლის ენერგიით ჰქონდათ გაბრწყინებული. მერე უკან ჩამოიარეს. ზუგდიდის ბატალიონის გვარდიელები იყვნენ, რომელიც უკვე გამოეყო კიტოვანის ეროვნულ გვარდიას და გამსახურდიას მხარეს გადავიდა. რუსთაველის პროსპექტის ტერიტორიას ბარიკადებიდან მთავრობის სახლამდე პრეზიდენტის ძალები აკონტროლებდნენ.

- ეს ქვეყანა გამოუსწორებელია, - თქვა ვიღაც გვერდით მჯდომმა რუსულად. მივიხედე, რუსული ენა აქ უკვე იშვიათობა ხდებოდა. მთქმელს ბევრმა გადახედა. ოცდაათ წლამდე ადამიანი იყო ჯინსის ქურთუკითა და ბუმგურად გაკრეჭილი ფერფლისფერი თმით. მის ფეხებთან ერთგული ძაღლივით იდგა შავი ტყავის ჩანთა. მისი თანამოსაუბრეები - თითქმის მხრებამდე ჩამოკონწიალებული საყურეებიანი თვალშისაცემი ახალგაზრდა ქალები - ჩუმად რაღაცას ეუბნებოდნენ მას.

დიახ, ეს ქვეყანა გამოუსწორებელია, - გავიფიქრე მე. თუნდაც იმიტომ რომ პიროვნულობა ვერ დააკარგვინეს. აქ სიცოცხლით ბოლომდე ტკბებიან, და რაც არ უნდა მოხდეს, თავი ეფექტურად და ლამაზად უჭირავთ. როგორც სცენაზე. გამეცინა.

პოლკოვნიკმა გაკვირვებით აჭიმა წარბები, თუმცა ძველებურადვე ქუჩაში იმზირებოდა. გვარდიელებმა ორი ბიჭი გააჩერეს და მედიდური სახით რაღაცას არკვევდნენ. მსიამოვნებდა მათი ყურება, ასე მეგონა, მოთამაშე ბავშვებს ვადევნებდი თვალს.

- ხედავთ? - თქვა პოლკოვნიკმა და გაფშეკილი თითებით ჩაბღუჯული კოვზი ბიჭებისკენ გაიშვირა, - უსაქმურები. დიახ, დიახ, უსაქმურები! – ხმას აუწია მან, თუმცა მე ვდუმდი. - ისინი იქ არიან, სადაც ვინმე უნდა დაიჭირონ ან ჩასვან. ბოლშევიკებზე უარესები არიან. თვითონ კი არაფერს აკეთებენ, მარტო ფულს ხვეტენ. იცით, როგორი ხელფასები აქვთ? სამასი მანეთი!.. და რაში აძლევენ ამდენს?

მერე გაჩუმდა, დნობამორეული ნაყინი ამოხაპა, მწყრალ თვალს არ აშორებდა აცელქებულ ბიჭებს. მერე ამოიოხრა: “ეჰ!.. ჩვენ ვიბრძოდით, პატიოსნად ვმუშაობდით ეს ყველაფერი რომ გვენახა?” - და თანაგრძნობის მოლოდინში გადმომხედა.

ჩემმა გაბრწყინებულმა მზერამ გააბრაზა. გაგულისებულმა გადადგა ფინჯანი და მძიმედ წამოდგა. მისი ფორმა იქ მყოფთა ცუდად დაფარულ უკმაყოფილებას იწვევდა. თუმცა ჯილდოებმა, მთელ მკერდს რომ უფარავდა, და, რაც მთავარია, ასაკმა, აიძულეს ისინი გზა დაეთმოთ მისთვის. ასეც გაიარა სამხედროს მტკიცე, უდრეკი ნაბიჯით.

თვალი გავაყოლე, ყურს ვუგდებდი სადღაც ჩემ შიგნით აწკრიალებულ სიხარულს. ჰო, მართლა, მოთხრობა! - გამახსენდა და თვითონაც ავდექი, რაღა გამაჩერებდა!

მთავრობის სახლთან თავისი განსაკუთრებული ცხოვრება მიედინებოდა. ნაირფერი კარვები, რომლებშიც უკვე დიდი ხანი იყო პრეზიდენტის მხარდამჭერები ცხოვრობდნენ, ბოშების ბანაკს ჰგავდა. შეგეძლო ახლოს მისულიყავი და გეყურებინა ამ ყველაფრისთვის, როგორც უსასრულო თეატრალური წარმოდგენისთვის.

ყველა ჯურის ქალები საქმიანად აგროვებდნენ ხელმოწერებს მორიგ პროტესტზე თუ მოწოდებაზე. უფრო სწორედ ყველა ასაკის ქალები. გარეგნობა სწორედაც ერთნაირი ჰქონდათ - ყველანი აღტაცების გრძნობითა და კერპმსახურებით მოგვრილი სიამოვნების გრძნობით იყვნენ შეპყრობილები.

მოგვიანებით, როცა მთავრობის სახლი უკვე ტრანსპორტის მჭიდრო რკალით იყო გარშემორტყმული, იგივე ქალები ყვითელი “იკარუსების” ფანჯრებში დავინახე. ისინი სკამებზე ასულიყვნენ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს უყვიროდნენ სტუდენტებს, რომლებიც ათვალწუნებით უყურებდნენ მათ და ყველა მათგანს უკლებლივ ერთნაირი დამცინავი გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე.

ტანდაბალი ცისფერი ნაძვების ძირში ვიღაც დაგლეჯილ-ტანსაცმლიან ადამიანებს ეძინათ, ირგვლივ ლავაშის ნაფლეთები, ბორჯომის ცარიელი ბოთლები ეყარა, ხალხში უაზროდ დაბორიალებდნენ შეშლილები, რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდნენ.

მთავრობის სახლი აუღებელი ციხესიმაგრესავით იდგა - უზარმაზარი ლოზუნგებით და საღამოს ქარის მიერ ძლევამოსილად აფრიალებული დროშებით შემკული.

ახლახან პრეზიდენტმა განაცხადა: “მიტინგებით დაღლა არ შეიძლება! ეს არის ჩვენი ბრძოლის მეთოდი!” - და აღფრთოვანებული ხალხი აგრძელებდა ცხოვრებას მიტინგების ყოფით.

გამახსენდა, როგორ მოვხვდი აქ ერთხელ შემთხვევით და თავს ვეღარ ვაღწევდი - იმდენი ხალხი იყო და ისე მჭიდროდ იდგნენ, თუმცა არც დარჩენა შეიძლებოდა - რაღაც დამთრგუნველი რამ იყო იმ ველზე, მე ჯიქურ მივიწევდი ნაპირისკენ.

ანაზდად ყველა გაირინდა და ერთდროულად შემართეს მუშტები. ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. მეგაფონიდან წამოსულ ყვირილს ყურს არ ვუგდებდი და კვლავ წინ მივიწევდი, ჯერ ვერ მივმხვდარიყავი, რომ ეს დუმილის წუთი იყო.

ირგვლივ უმალ აიჯაგრნენ. დუმილის წუთი რომ არა, ვერ გადავრჩებოდი. დავინახე ჩემკენ მოპყრობილი ავი მზერა.

ჩემს მაშინვე ცემას არავინ აპირებდა, მაგრამ ატმოსფერო აშკარად არაჯანსაღი იყო. რაღაც ისე არ კეთდებოდა, გათავისუფლებული რაღაც ინსტინქტები დაბორიალობდნენ, ღვარძლიანობდნენ და თავის დროს ელოდებოდნენ.

მომინდა შორს წასვლა, შორს აქედან, სუფთა ჰაერზე!

მოედნის ყველა მხარეს დაყენებული პროჟექტორების დამაბრმავებელი სინათლის თვალებზე ხელაფარებულმა გადავკვეთე ქუჩა, ქაშვეთის ეკლესიას ჩავუარე და ალექსანდრეს ბაღში ჩავედი. მიკროფონებით გაძლიერებული გამომსვლელთა ხმები მდევდა.

მარცხნივ რჩებოდა გიორგი ლეონიძის სახელობის მის მიერვე დაარსებული ქართული ლიტერატურის მუზეუმი, რომელშიც ახლა ჩემი ძმა მუშაობდა და რომლის დირექტორიც იზა ორჯონიკიძე იყო.

მაშინ საქართველო მესხების სიძულვილის მასიური ფსიქოზით იყო შეპყრობილი. მარატი კი, რომელმაც დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ ძლივს მოახერხა სამშობლოში, ახალციხეში დასახლება, ახალგაზრდა ცოლითა და პატარა ქალიშვილით გამოაძევეს იქიდან. მაშინ იზა ორჯონიკიძე პირველი იყო, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა. მან თქვა - ჩვენი, ქართველების, სირცხვილია, რომ ადამიანი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილიაო და მუზეუმში სამუშაოდ მიიღო მარატი.

და მაშინ ჩვენთვის ხელი არავის უხლია, - მოძულეთა და ღვარძლიანთა მასაში, თუმცა მანამდე გაზეთში “ახალგაზრდა კომუნისტში” დაიბეჭდა საზიზღარი სტატია, რომელშიც მამაჩვენი ლამის დაბადებიდანვე თურქ ჯაშუშად იყო გამოცხადებული. ეს კი შეიძლებოდა ჩვენი ოჯახის საქართველოდან სრული გაძევების დასაწყისი გამხდარიყო.

უფრო მეტიც, - იზა ამავე გაზეთში უარყოფის გამოქვეყნებაში დაგვეხმარა, ეს კი იმხანად სასწაულის ტოლფასი იყო.

ქალაქის ზოგიერთი ადგილისადმი მე ჩემი, პირადი დამოკიდებულება მქონდა. ავიღოთ თუნდაც ალექსანდრეს ბაღი.

მე აი ამ ბორცვზე ვიდექი, სადაც მამამ ხელჩაკიდებული მომიყვანა. რა დიდი ხნის წინათ იყო ეს!.. თუმცა მე ახლაც ვიგრძენი მისი ხელისგულის სითბო - დიდი და თბილი ხელის-გულისა, რომელშიც ჩემი ხელი იყო შეყუჟული.

ოდესღაც მე აქ ვიდექი და ვუყურებდი, როგორ სცემდნენ მაშინდელ ცკ-ში მიღებაზე შეკრებილი მესხების დელეგაციას, როგორ ტენიდნენ ადამიანებს ავტობუსებში, რათა ქალაქგარეთ გაეყვანათ, ისინი კი სასოწარკვეთილები გაჰყვიროდნენ, - უფლება გვაქვს, სამშობლო გვქონდესო და ამ უფლების დაცვას ცდილობ-დნენ. მამამ მილიციელების ალყა გაარღვია და აღელვებული იმეორებდა: “რა სიმდაბლეა, როგორი ვერაგობაა!”

მამა, მამა, ნეტავ ახლა სად ხარ?

რომელ კოსმოსურ სამყაროში დაფრინავს შენი უკვდავი სული?

რომ იცოდე, როგორ ხშირად მაკლიხარ, მაკლია შენი ალერსიანი მზერა, შენი დაცვა. გულის სიღრმეში მე სამუდამოდ დავრჩი პატარა გოგონად პორტფელით ხელში, შემკრთალი რომ დგას ახალი ცხოვრების წინაშე. მეშინია, უკან ვიყურები და მამას გამამხნევებელ ღიმილს ვხედავ. მისი დიდი ხელისგული ორივე ბეჭზე მეხება და მსუბუქად მიბიძგებს წინისკენ. როცა გამიჭი-რდება, ზურგზე მამას ხელისგულს ვგრძნობ. მე აქ ვარ შვილო, ნუ გეშინიაო.

როგორ ამაყობდა ის ჩემით, და როგორ გაიხარებდა იმით, რომ ჩვენ სამშობლოში ვართ. როგორ გაიხარებდა ჩემი წარმატებით – პირველი მოთხრობით!.. და ცრემლმორეულმა გავიღიმე.

აი, ვორონცოვის ხიდიც, ნეკრასოვამდე საბჭოს ქუჩაზე ასვლაღა დამრჩა, რომლისთვისაც სახელი ჯერაც არ გადაურქ-მევიათ, და მალე უკვე სახლში ვიყავი.

შუქი არ ამინთია, ისე მოვისროლე პარკი სკამზე და ფანჯარასთან მივედი. სახე მიხურდა. ძველებური საკეტი ადვილად გადატრიალდა. ფართოდ გაღებულ ფანჯარაში შემოჭრილმა საღამოს სიგრილემ, რომელშიც შემოდგომისთვის დამახასიათებელი ღვინის სუნი იგრძნობოდა, მსუბუქი ფარდა იალქანივით გაბერა.

სიხარულის დიდი, თითქმის აუტანელი კონცენტრაციის გასაზავებლად ღრმად ამოვისუნთქე, როგორც მეტისმეტად მაგარ სასმელს აზავებენ.

ქვევით, მტკვრისკენ მოციმციმე სინათლეები ეშვებოდა. ბაგებიდან სახლამდე დიდი გზა გამოვიარე, თუმცა მთაწმინდა კვლავინდებურად მდუმარედ აღმართულიყო. სიჩუმე და იდუმა-ლება სუფევდა, გეგონებოდათ, ქალაქმა რაღაც მნიშვნელოვანი იცისო.

ყურმილი ავიღე და ნომერი ავკრიფე.

- შურა, - ფრთხილად, როგორც იმ ადამიანმა, რომელსაც ეშინია სავსე ჭიქა არ დაექცეს, ვთქვი მე.

- რა მოხდა? - შეშფოთებულმა მკითხა მან, - ისეთი ხმა გაქვს...

- არა, არა, არაფერი, - ვუთხარი მე, სიხარულის დაოკებით, და ველარ მოვითმინე: - დღეს მე ჩემი პირველი მოთხრობა დავამ-თავრე.

ვერანდაზე გასულს ცისანა შემომხვდა ჩაიდნით ხელში.

- რა ხდება მთავრობის სახლთან... - ვთქვი მე.

- საშინელებაა, - მომიგო მეზობელმა. - ვერ მოისვენებენ, ვიდრე ერთმანეთს არ დახოცავენ. მაშ, რისი ქართველები ვართ, სულ გაგიჟდნენ, - და ყველაფერს შეჩვეული ადამიანის ფრატუნით გაემართა სამზარეულოსკენ.

1992 წ. მარტი
ქ. თბილისი

გალაკტიონის აღმოჩენა

შურას თვალები გაუფართოვდა.

- რა-ა-ა? - ესღა თქვა და აღშფოთებისგან ხველა აუტყდა, თან ლურჯზოლებიან ხალათში ეხვეოდა.

მე უკვე ვნანობდი, ასეთი საუბარი რომ წამოვიწყე. თუ ავადმყოფი მეგობრის სანახავად მოხვედი, იჯექი და აქეთურზე, იქითურზე ილაპარაკე.

მაგრამ, შურა პირველი იყო, ვინც არაფერი იცოდა მესხების შესახებ და ჩვენი წიგნი რომ წაიკითხა, მოგვძებნა - ორი ძმა და ერთი და, რომლებმაც მრავალწლიანი წინააღმდეგობის გადალახ-ვის შემდეგ, როგორც იქნა, მოვახერხეთ და სამშობლოში დავბრუნდით. ჩვენ მეტისმეტად დიდი ძალღონე დავხარჯეთ, ფრონტის ხაზის გასარღვევად და, ბოლოს და ბოლოს საქართველოში რომ აღმოვჩნდით, დაბნეულებს ვეღარ გაგვეგო - ვინ ვართ, სად ვართ?

შურამ მაშინვე, ულაპარაკოდ ჩაგვწერა თავისი ახლობლების სიაში, ბავშვებისთვის მოჰქონდა სათამაშოები, საბავშვო წიგნები ქართულ ენაზე, ჩვენთვის კი - სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, ტკბებოდა ბავშვების სახეებით, ოჯახური ურთიერთობებით, ერთი სიტყვით, მთელი თავისი მგზნებარე გულით შეგვიყვარა, ერთხელ კი ასე გვითხრა: “თქვენ, მესხებმა, უფრო მეტი ქართული შემოინახეთ თქვენში, ვიდრე ჩვენ აქ”. შემდეგ საზეიმოდ დაუმატა, თითქოს რაღაც ფიცს დებდა: “თქვენ გალაკტიონს ორიგინალში წაიკითხავთ...”.

ამიტომაც იყო, რომ ამ თემაზე წამოვიწყე მასთან საუბარი.

ჩემს კითხვაზე, ქართულ პოეზიას რომ ეხებოდა, ვახტანგმა მიპასუხა, ერთხელ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები რომ ავიღე ხელში, მტკიცე განზრახვით, ღრმად შემესწავლა ისინი, იქ მხოლოდ სტატიკა, ბუნების უბრალო აღწერა დავინახეო. “ნაწყენიც კი დავრჩი” - დასძინა მან. ამ სიტყვებმა შემაშფოთა.

მე რუსულ პოეზიაზე გავიზარდე (როგორც ვახტანგი, ჩემი აზრით, ქართულზე), და თავში არასდროს მომსვლია, პუშკინის ლექსები, მათი ღრმად შესწავლის განზრახვით ამეღო ხელში. მისი

ლექსები უკვე იყო ჩემი არსების ნაწილი. ალბათ იმიტომ, ვფიქრობდი მე, რომ ქართული ენა მისთვის ღრმად მშობლიური არ იყო საიმისოდ, რომ ამ ენაზე დიდი პოეზია ეგრძნო.

გალაკტიონი რომ დიდი პოეზია იყო, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ცხოვრებაში აბსოლუტურად უცოდინარს უნდა შემებიჯებინა, ის მაინც ვიცოდი, რომ პასტერნაკი სიყვარულითა და მოწიწებით თარგმნიდა ქართველ პოეტებს. ნათესავებს, რომელთაც თავის თარგმანებს უგზავნიდა, ის სწერდა, თარგმნილ ლექსებზე ვერაფერს ვიტყვი, ორიგინალში კი ისინი "ცრემლებამდე ნამდვილი და გულისამაჩუყებელიაო".

ამასობაში შურა მომჯობინდა, სტუმართმოყვარე დიასახლისისათვის ჩვეული ხელის მოძრაობით მანიშნა ჩაი მიირთვიო. ჩაი მისმა ვაჟიშვილმა მოგვართვა, რომ მოვსვი, შურა ჩამეკითხა:

- მან ზუსტად ასე თქვა - "სტატიკაო"?

მე თავი დავუქნიე.

- ღმერთო ჩემო, გაიღიმა მან, - როგორ მეცოდება შენი უფროსი. ორში ერთია: ან მან ქართული ენა არ იცის, ან პოეზიაში არაფერი გაეგება.

გამახსენდა, როგორ სიამოვნებით წარმოთქვამდა ვახტანგი ცვეტაევას სტრიქონებს.

- უფრო პირველი, - ვუპასუხე მე.

- გალაკტიონი ქართული პოეზიის სული და გულია, - დამრიგებლური ტონით განაცხადა შურამ.

მე უსიტყვოდ ვხვრეპდი ჩაის ფინჯნიდან. საქართველოში ჩაის მოყვანა კი იციან, გავიფიქრე ჩემთვის, მისი დაყენებისა კი რა მოგახსენოთ.

- გალაკტიონი ქართული სულის კვინტესენციაა, - აგრძელებდა შურა ზეაწეული ნოტით.

- ის ქართული მსოფლშეგრძნების იდეალური გამოხატულებაა.

მე გულგრილი ცნობისმოყვარეობით ვუსმენდი. ტყემლის მურაბა მჟავე, გამჭვირვალე და ძალიან გემრიელი იყო. ჩაისა კი რა მოგახსენოთ.

- არა, ასე არ ვარგა, - შეწყვიტა მან ლაპარაკი და ფინჯანი გასწია. შემდეგ სკამზე დაწყობილი წიგნების დასტას მისწვდა.

სქელი ტომის ყდა გადაშლილი ფურცლების ნაწილით როგორღაც უმწეოდ იყო ჩამოკიდებული. შურამ წიგნი აიღო და ალალბედზე გადაშალა.

- აი, მისმინე, - მითხრა მან და ორი სტროფი წაიკითხა ქართულად. ლექსი მღერადი, მაგრამ ამავე დროს ერთგვარად მჭახეც იყო.

- საერთოდ, პოეზიის თარგმნა შეუძლებელია, - თქვა მან, - მაგრამ ვეცდები.

და სტრიქონ-სტრიქონ, თითის გაყოლებით დაიწყო თარგმნა.

“ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი. თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები, და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში მუსიკის მსუბუქ ზვირთებით”. რაღაცამ შემძრა. დავინახე გაზაფხულის დღე და ჭაბუკი ქარის მიერ აშლილი თმებით. ის თვითონ იყო ქარივით და მიქროდა - მსუბუქი და მხიარული. მართლაც, როგორც მოცარტი.

- ეს რა, ბუნების უბრალო აღწერაა? - ირონიულად მკითხა შურამ და კითხვა განაგრძო. საგულდაგულოდ არჩევდა სიტყვებს, მერე კი წიგნი უმწეოდ დადო საბანზე.

- რა სამწუხაროა, რომ შენ ჯერ კიდევ არ იცი ქართული. ამის თარგმნა შეუძლებელია.

თუმცა მე მაინც დავინახე მზის ამოსვლა მაისის თვეში, დავინახე მზე, რომელიც ისე ვარვარებდა, როგორც ჩემთვის უცნობი ზამბახის ყვავილი. და ამ სილამაზემ, ამბობს ავტორი,მე სიკვდილზე ფიქრს შემაგუა.

აი, კიდევ, პოეტი იხსენებს მშობლიურ ადგილებს, ბილიკთან მდგარ ორ ცაცხვს. იგი ასეთი სიტყვებით ლაპარაკობს მისთვის ძვირფას საფლავებზე: “იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის გადამტან გულთა ფერფლი აწყვია…”

მე სულ უფრო მეტი ყურადღებით ვუსმენდი - ალალბედზე შერჩეულ სიტყვებში მაინც გამოსჭვიოდა პოეზიის ხიბლი.

შურამ იმ ლექსის დაწერის თარიღს დახედა, რომელშიც ქარზე და მოცარტზე იყო ლაპარაკი - 1915 წ.

- 24 წლის იყო, - გაიღიმა მან. - იმ დროს იგი შეყვარებული იყო. თუმცა, - დაამატა შურამ. - გალაკტიონი მეტისმეტად პოეტი იყო იმისათვის, რომ თავისი სიყვარული მხოლოდ ერთი ობიექტისკენ მიემართა, თუნდაც ისეთი მომხიბვლელისკენ, როგორიც ქალია.

შიომ, შურას ვაჟიშვილმა - ტანმაღალმა, მოუქნელმა ახალგაზრდამ, ფინჯნები და მურაბა მოგვიტანა, ცხელი ჩაიდნიდან დაგვისხა. იგი მელანქოლიურად დუმდა, თავის ფიქრებში ჩაღრმავებული. ოთახიდან რომ გადიოდა ჩაიდნით ხელში, გაუბედავად გაჩერდა, დედამისს გადახედა, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, სამზარეულოში გასულიყო, თუ მოსასმენად დარჩენილიყო. დავინახე, როგორ გადაურბინა ბაგეებზე მსუბუქმა ღიმილმა. ბოლოს მაინც ჩაიდანი გვერდზე გადადგა, სკამი აიღო, ზურგით წინ დაიდგა და იდაყვდაყრდნობილი დაჯდა.

გატაცებით უსმენდა. ვხედავდი, უნებლიედ როგორ ტკბებოდა იგი დედით, და ვიდრე შურა ლექსებს კითხულობდა, მას მოღუშული სახე ეხსნებოდა და უნათდებოდა.

- ვისზე იყო გალაკტიონი შეყვარებული? - ვიკითხე მე მოუთმენლად. ეს ისტორია უფრო და უფრო დიდ ინტერესს აღმიძრავდა.

- ოლია ოკუჯავაზე, - მითხრა შურამ, - მას "ოლოლი" უყვარდა, ასე უწოდებდა ოლიას გალაკტიონი.

- სხვათა შორის, - გამოცოცხლდა იგი, - ოლია ბულატ ოკუჯავას ალალი მამიდა იყო.

ეს რომ მითხრა, ამით მან თითქოს ნაცნობი ინფორმაციის სამაშველო რგოლი გადმომიგდო. გავოცდი - იმდენად შეუთავსებელი იყო ჩემთვის ეს ორი ადამიანი.

- ოლია და გალაკტიონი ერთმანეთს ქუთაისში შეხვდნენ, სადაც გალაკტიონი სწავლობდა და სადაც ოკუჯავები გადმოსახლდნენ სამეგრელოდან.

- ეს ოჯახი ცნობილი იყო თავისი სოციალ-დემოკრატიული განწყობილებებით, ძალიან გახსნილი იყო ურთიერთობებისათვის და მიმზიდველი ახალგაზრდობისათვის.

- მერე რაღა იყო?

- მერე ისინი დაქორწინდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ოლიას ოჯახი წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების. გალაკტიონს ღამის სათევი ადგილიც კი არ ჰქონდა - ოკუჯავები ასეც უწოდებდნენ მას - "ქუჩის ბიჭი".

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ ოჯახის თითქმის ყველა წევრს მაღალი თანამდებობა ეკავა. ოლოლსაც - იგი ყოველთვის დაკავებული იყო, - ბევრს მიდი-მოდიოდა სახკომისეული საქმე-

ების მოსაგვარებლად, გალაკტიონი კი თავის სახუმარო ლექსებში მეუღლის გამუდმებულ მივლინებებზე ჩიოდა.

30-იან წლებში ოკუჯავებს მაღალი პოსტები ეკავათ. მერე კი რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

- ოლოლიც?

- კი. იგი გადასახლებაში გარდაიცვალა. თავის უკანასკნელ წერილში ოლოლი გალაკტიონს სწერდა, ვკითხულობ გოგოლს და ეს ერთადერთია, რაც მამშვიდებს და მამხნევებსო.

გალაკტიონი პასუხს არ სცემდა მას. რატომ? შურა მხრებს იჩეჩავს. შემდეგ გალაკტიონი გალოთდა, ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა. რატომ? შურამ მწარედ ამოიოხრა.

რამდენი საიდუმლოა, - გავიფიქრე მე. ძალიან მინდოდა ზოგიერთი მათგანი მაინც ამომეცნო, მაგრამ მე მხოლოდ ვეხებოდი თხელ გადასაფარებელს, რომლითაც ეს საიდუმლოებები იყო დაფარული.

შურა აჩქარებით ფურცლავდა გვერდებს - იგი გალაკტიონის ცხოვრებას მეგზურობდა, და ამ ცხოვრებასთან შეხებისას ორივენი უნებურად ვღელავდით. იგი ახლა უბრალოდ მიკითხავდა გალაკტიონის ლექსებს - აღარ მითარგმნიდა. თვალები უბრწყინავდა, სახე ვარდისფრად ჰქონდა ანთებული.

ფოტოსურათი. ახალგაზრდა მამაკაცი - ჯერ კიდევ რაღაცნაირად რევოლუციამდელი, დამოუკიდებელი ადამიანის აღნაგობა. ცოცხალი თვალები, უნაკლო, სწორი ცხვირი და ყველაზე გამორჩეული - ბაგეები. ქვედა ტუჩი თითქოს მოკუმულიაო. ასეთი ბაგეები აქვს განაწყენებულ ბავშვს. მისი მოფერება მოგინდებოდა.

შურა თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს: “იგი მართლაც ბავშვი იყო სიცოცხლის ბოლომდე. ამ ქუჩებში დადიოდა და გენიალურ ლექსებს წერდა”.

მან თხრობა განაგრძო. ეს იყო ზეპირი დისერტაცია გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მე ვხედავ, როგორ ქირქილებენ ბიჭები უცნაური წვერებიანი კაცის დანახვაზე, როგორ ხარბად სვამს ხნიერი, რეალობას მოწყვეტილი კაცი არაყს ქაშაყის კასრის თავზე, რომელსაც ადგილობრივი მაწანწალები წასახემსებელ მაგიდად იყენებენ.

შურას მეზობლები კი ერთმანეთს ეკითხებიან: “დღეს იყო?” ჩარბიან პირველ სართულზე - გასტრონომში - გალაკტიონს რომ შეხედონ.

პოეტი კი ყველაფრისაგან თავისუფალია.

იგი ჭუჭყიანი ხელებით ფცქვნის ქაშაყს; თვალები მხოლოდ მისი მთვრალი მზერისთვის მისაწვდომი შორეთისკენ აქვს მიპყრობილი.

მერე კი ხალხი კუბოს მიჰყვება და მათთან ერთად მე კიკინებიან მეცხრეკლასელ შურასაც ვხედავ. ხალხში არ არის არავითარი განკითხვა ლოთისა, რომელიც კლინიკის მეოთხე სართულიდან გადმოხტა; ხალხი რაღაცნაირად გარინდულია.

თანდათანობით, ისევე, როგორც ხარაჩოები ჩამოიშლება დასრულებული შენობიდან და ის მთელი თავისი დიდებულებით წარდგება გაოცებული მზერის წინაშე, გალაკტიონიც თავისუფლდება უმაქნისი წვრილმანებისაგან და რჩება მთავარი - პოეტი.

იდაყვზე ლოყადაბჯენილი შიო ფანჯარაში იმზირებოდა. ფანჯრებს მიღმა საღამო ჩამოწოლილიყო “როგორც ძველი ლურჯი წიგნი”. შურამ გაციებული ჩაი მოსვა და თქვა: “თქვენ კი ამბობთ “სტატიკაო”...

საიდუმლო

- ყოველ ხალხს თავისი საიდუმლო აქვს, - თქვა ვახტანგმა. - ის აერთიანებს, ამაშია მისი ძალა. ნეტავ, მესხებს რა საიდუმლო აქვთ?

სწორედ ასე თქვა, “საიდუმლოო”, სავარძელში გადაწვა და პასუხის მოლოდინში წარბები ზეაწია. ასეთი მანერა ჰქონდა - მოულოდნელი კითხვების ჯიქურ მიხლა.

“რატომ აქვს ყველა ქართველს გადმოკარკლული თვალები?” - გავიფიქრე, როცა თანამოსაუბრეს მივჩერებოდი.

შორიდან ვახტანგი უსახური, უფერული ჩანს, ისე, როგორც პარტაპარატის ყველა თანამშრომელი. მაგრამ როცა მის

მოპირდაპირედ ზიხარ, ამჩნევ, რომ თურმე ეს პარტიის მსახური არც ისე უფერული ყოფილა.

თვალები ვახტანგს მომწვანო აქვს, თუმცა როცა გამოცოცხლდებოდა ხოლმე, თვალები უმუქდებოდა და მათში მოყავისფრო ნაპერწკლები გამოუკრთებოდა.

ოვალური სახის სწორი მოხაზულობის შემყურეს მისი თითით ნელა შემოხაზვა გინდებოდა. დამცინავი მზერა ამის გაკეთების ნებას არავის მისცემდა.

ლამაზი მოყვანილობის პირი გრძელი ტუჩებით - ამ ტუჩებს ავგურის ყოვლისმცოდნე ღიმილი გადაურბენდა ხოლმე.

და - სიმაღლე! მისი მაღალი სიმაღლე თითქოსდა გამარჯვების მტკიცე რწმენისთვის იყო შექმნილი.

“რა ზუსტად ირჩევს სისტემა თავის მსახურებს”, - გავიფიქრე მე.

ვახტანგს შვენის ტელეფონებიან მაგიდასთან სავარძელში ჯდომა, ცკ-ს ხალიჩებდაგებულ ნათელ დერეფნებში მოხდენილი სიარული, მომსვლელთა გაოცება მანერების დახვეწილობით, ცივი ზრდილობიანობით და მყისიერი რეაქციით იმაზე, რაც ხდება.

ეს მარმარილოს სვეტები, მბზინავი ქარვის იატაკები, უხმაურო ლიფტები, მყისიერად რომ აჰყავთ მგზავრები საჭირო სიმაღლეზე, საჭიროების შემთხვევაში კი დაბლაც, დიახ, და უცხო თვალისთვის დამალულ სარდაფის ბუფეტშიც რომ ჩამოჰყავთ, სადაც ისე აჭმევდნენ, როგორც რესტორანში, და თხელ ფენებად დაჭრილი ნაზი ვარდისფერი შაშხის, მარაოსავით დალაგებული მადისმომგვრელი ყვითელი ნახვრეტებიანი ყველის, თეთრძარღ-ვებიანი ლაბასხმული ენის, მეზობელი ფარგას გემრიელ სითეთრეს და ლაღიძის საუკეთესო წყლების, ბორჯომის და ლუდის ბოთლების ბატარეის მბზინავ ყელებს რომ უსვამდა ხაზს. ამის დანახვაზე ელიტარული პუბლიკის წარმომადგენლები გაგებით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. ეს ყოველივე ვახტანგთან განუყოფელი იყო.

და რა მორგებულად იყო შერჩეული სხვა მსახური - ქვევით, შესასვლელ კართან ახმახი, რომელიც ეჭვის თვალით აკვირ-დებოდა ყველას - მარტო პარტიული ხელისუფლების მასიური კარის გაღება-დახურვისთვის თუ ვარგოდა.

ის იერარქიული კიბის სოციალური ჭრილივით იყო. ქვევით - მსახურის მახინჯი სახე, ზევით – დახვეწილი, ჭკვიანი ვახტანგი.

მართალია, ერთხელ ვახტზე დავინახე ინტელიგენტი, რომელსაც არსად ეჩქარებოდა. ვახტანგი ისე მიესალმა მას, როგორც თავის სწორს, თავისი წრის წარმომადგენელს, და რამდენიმე სიტყვა უთხრა.

- ბედმა არ გაუღიმა ადამიანს, - ამიხსნა მან.

აღმოჩნდა, რომ თავის დროზე, როდესაც თენგიზ აბულაძის “მონანიება” ჯერ ისევ აკრძალული ფილმი იყო, ეს ყოფილი ინტელიგენტი რაღაც იატაკქვეშა დარბაზებში თავისი მეგობრებისა და ნაცნობებისთვის მალულად ატრიალებდა მას.

ახლა კი ის აქ ზის.

- საკვირველია, რომ აქ მიიღეს, - მითხრა ვახტანგმა, - დიდხანს ვერსად ვერ ეწყობოდა, ისევ მშობლიურმა პარტიამ უშველა. თქვენ კი სულ უკმაყოფილო ხართ! - მოულოდნელად ჩაიფრუტუნა მან.

დიახ, პარტიას ვერ დაემდურები, - გავიფიქრე მე მაშინ.

პარტიულ ხელისუფლებას კარგა ხანი იყო აღსასრულის დასაწყისის წინათგრძნობა გასჩენოდა და ახლა ცდილობდა კეთილ საქმეებს ჩაბღაუჭებოდა, რადგან ეგონა, რომ შეიძლებოდა ამ გზით გადარჩენილიყო.

იმ დღეებში ტელეფონის სამართალმა გაჭრა და ჩვენს შეფერხებულ საქმეებს უბიძგა. მარატი უკვე ახალციხეში იყო. და მეც, ასე ვთქვათ, რეპრესირებული ხალხის შვილი, შუა აზიაში, ღმერთისგან დავიწყებულ სადგურ კრასნოგვარდეისკაიაში დაბადებული და ისევე, როგორც ყველა ჩემი თანამოძმე, დიდი საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ნახეტიალები, უკვე სამშობლოში ვცხოვრობდი, უნივერსიტეტში ვმუშაობდი, აქ დასახმარებლად მოვდიოდი ხოლმე და ცკ-ს ლაბირინთებში დროდადრო ჩემს მფარველებს ვხვდებოდი.

ისინი ყველანი ალერსიანად მიღიმიან - სასიამოვნოა იმ ადამიანის ნახვა, რომელიც შენს კეთილ საქმეებს განასახიერებს.

ასეთ შემთხვევებში მე აჩქარებით ვესალმები მათ და ვცდილობ ჩემთვის ცნობილი ქართული სიტყვებით მთელი წინადადებები შევაკოწიწო და ამით აღტაცებაში მომყავს ისინი.

ქართული ენის სერიოზულ სწავლაზე იმხანად ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა – ამისთვის ნათელი გონება და სულის სიმშვიდე იყო საჭირო, მე კი არც ერთი გამაჩნდა, და არც მეორე. მე იმ შორ მანძილებზე მორბენალს ვგავდი, რომელმაც მთელი ძალ-ღონე სირბილს შეალია, ფინიშზე კი უგონოდ დაეცა.

არა, ტყუილად არ დავხმარებივართო მას, ფიქრობენ ისინი და გრძნობამორეულები მიყურებენ (მით უმეტეს რომ ეს ძნელი არ იყო), მალე ნამდვილი ქართველი გახდება, მთლად ჩვენიანი. არადა სიმპათიურია!

მე ასეთ დროს უხმოდ ვიღიმი, ამასთან ვცდილობ ჩემი ღიმილი მოკრძალებულობის ჩარჩოებს არ გასცდეს.

მამა კი... მამამ კი ეს არ იცის. ის უკვე ხუთი წელია უცხო მიწაში წევს.

ჩემი მფარველები მხრებზე მეხვევიან და ვახტანგს ეუბნებიან: “იცოდე, არ აწყენინო - ჩვენიანია!” ვახტანგი პასუხად, ეჭვნეულ მზერას აყოლებს მათ და ბურტყუნებს: “როგორ არა, აწყენინებს კაცი ამას...”

ამ პარტიულ დარბაზებში პირველად რომ მომიყვანა, ის ინტერესით ელოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე მთელი ეს გარემო.

ის ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებდა დერეფნებში. მერე უცბად რომელიღაც კაბინეტის წინ გაჩერდა, ხმას დაუწია და მრავლისმეტყველად მაცნობა - ამა და ამ ადამიანთან მივდივართ, მას ასე და ასე ჰქვია, არ შეგეშალოთო. და ისე შემიყვანა კაბინეტში, როგორც მმართველის სეფე-დარბაზში.

მაშინ მე გამეცინა - ეს ყველანაირი ცენტრალური კომიტეტები ჩვენიანებს, მამას, ჩვენ - ათჯერ და ასჯერ გვქონდა მოვლილი. და ეს კომიტეტები, ჩვეულებრივ, კედელივით შეუვალები, მტრულად იყვნენ განწყობილები, სამშობლოში არ გვიშვებდნენ.

ის კი, ვისთანაც ვახტანგმა საზეიმოდ წარმადგინა, როგორც ჩემი ქართული ბედის განმსაზღვრელი უმაღლესი პარტიული ნების აღმსრულებელი, საერთოდ უმდაბლესი რგოლი იყო პარტიულ იერარქიაში.

როდესაც უმაღლეს რგოლთან წარმადგინეს, მან ჩემი მომავალი სამუშაოს ყველა შესაძლებლობას გადახედა და აღმსრულებელს მითითებები მისცა.

და ეს აღმსრულებელი ახლა ჩემ წინ იჯდა.

შემებრალა ვახტანგი - მე მას სპექტაკლი გავუფუჭე. ის გულის ფანცქალს ელოდა, მე კი ვიღიმოდი, თითქოს ჩემი მაღალი თანამდებობის მფარველების გამო ვუბოდიშებდიო. თუმცა, მზერით ვპირდებოდი, ამის მიუხედავად, გულმოდგინედ ვიმუშავებ-მეთქი.

კაბინეტის პატრონიც იღიმოდა, მართალია, ერთგვარად შეცბუნებული, და მან ხელებიც კი გაშალა, თითქოს გვთავაზობდა, მოდით, ერთად გავერთოთ ამ მოულოდნელი სიტუაციითო.

და მარტო დაბნეულ ვახტანგს გადაჰქონდა მზერა ჩემგან მასზე.

მოგვიანებით მივხვდი, რომ მაინც უსამართლო ვიყავი ვახტანგის მიმართ. ის გონებამახვილი, განათლებული ადამიანი იყო.

ის გრძელ თითს ჟურნალების დასტაზე აკაკუნებდა, სადაც ჩემი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი რამ - "ჩვენ - მესხები" იყო დაბეჭდილი, საქართველოში დიდი ხმაური რომ გამოიწვია, და მან, როგორც ყოველთვის მოულოდნელად დაასკვნა: "მე მგონია, მამა თქვენთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე მამა. ის თქვენი - თქვენი ოჯახის და თქვენი ხალხის დედაბოძი იყო". მერე მან ფიქრებში წასულმა გააგრძელა: "ყველა ისტორიულ სამართლიანობაზე მეტყველებს. ისტორია ვერ იქნება სამართლიანი ან უსამართლო. ისტორია ის არის, რაც ხდება. და ის ისეთია, როგორიც არის". თქვა და გადმომხედა - ხომ არ მეწყინა? - გამიღიმა: "თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მესხებმა მესხეთში არ უნდა იცხოვრონ".

ვახტანგისგან ვიგებდი უამრავ ამბავს, ლეგენდას, მაღალი საზოგადოების სიახლეებს, რომლებიც შლეიფივით იკლაკნებოდა და კაბინეტიდან კაბინეტში გადადიოდა, ამ ნამსხვრევებისგან აეწყო თავში ქართული ცხოვრების უჩვეულო მოზაიკა.

ერთხელ მან ძუნწი უწოდა საქართველოში ცნობილ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. "წარმოგიდგენიათ: მის მშობლიურ

სოფელში სკოლა არ იყო, ამ მდიდარმა კი, - ზიზღით თქვა ვახტანგმა, - კაპიკიც კი არ გაიღო ამ საქმისთვის! და ეს მაშინ, როცა ასეთი შესაძლებლობები ჰქონდა!”

ერთხელ გაოცებულმა გავიგონე, რომ ვახტანგი პასტერნაკს ციტირებდა. ჩემს კითხვაზე, რა იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოეზიაში, მან მიპასუხა: “მოძრაობა, ესტაფეტა, რომელიც პოეტს მიაქვს”. მერე, წამით იყუჩა და, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად დაამატა: “ბიძაჩემს ძალიან უყვარდა პასტერნაკი. სხვათა შორის, მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ...” მერე კი მიამბო, თუ როგორ შეიყვარა ბიძამისმა, ენერგეტიკის ცნობილმა სპეციალისტმა, რომელიც 50-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში მუშაობდა, იქ ქალი, ბუნებრივია, უცხოელი, მოგვიანებით კი მას შეატყობინეს, რომ ეს ქალი მზვერავი იყო და რომ ის მას სამრეწველო შპიონაჟის მიზნით მიუგზავნეს. და ამ ამბით შეძრულმა ბიძამ ტყვია დაიხალა. “თუმცა, - თქვა ფიქრებში წასულმა ვახტანგმა, - შეიძლება სწორედ იმისთვის უთხრეს, რომ თავი მოეკლა, - ვის შეეძლო იმ წლებში დაუსჯელად ჰქონოდა რომანი უცხოელ ქალთან?”

მე ინტერესით ვუსმენდი მას, ვუსმენდი მის მსჯელობას. მართალია, ზოგჯერ ფიქრებში წასულს თავი ავიწყდებოდა და მაშინ თქვენ თვალწინ მკვირცხლი თბილისელი ბიჭი წარმოჩინდებოდა. მას შეეძლო უეცრად დაესტვინა, ქალაქური ჟარგონით მოეწონებინა თავი, მარმარილოს კიბის ათ საფეხურზე გადამხტარიყო.

ერთხელ, ძველი გაზეთების დამტვერილ შეკვრებში ვიქექებოდით, რომელიღაც მორიგი ქაღალდისთვის რაღაც მონაცემებს ვეძებდით, ვახტანგმა თავი აწია და მოულოდნელად სიცილი წასკდა. “გაზეთის ჭიები”, - თქვა მან ჩემი გაკვირვებული მზერის შემხედვარემ და ისევ თავშეუკავებლად გაიცინა.

მაგრამ ბუნებრივი სიმკვირცხლე უკვე გარინდული იყო და მე არაერთხელ შემინიშნავს, როგორ უქრებოდა უცბად აელვარებული თვალები, მოწკურულ მზერაში კი განდობილის მრავლისმეტ-ყველი ღიმილი უჩნდებოდა. სისტემა კოდავდა.

ის ყველანაირად უსვამდა ხაზს განდობილის ამ გრძნობას. როცა მომიტინგეებმა პარტიის ცკ-ს ახალ შენობას ალყა შემოარტ-

ყეს, ვახტანგმა შიდა ბაღით გამიყვანა, გაკეთილშობილებულ ტროპიკებს რომ მოგაგონებდათ: მსხვილი ბანჯგვლიანი პალმები გაფარჩხულ თათებს არხევდნენ, ლამაზი ლიანები ისე იყო ჩამოკიდებული, როგორც მწვანე სერპანტინი კარნავალზე, ამ ატეხილი სიმწვანის სიღრმეში კი პომპეზური შადრევანი იფრქვეოდა.

“აბა, როგორ მოგწონთ ლავრენტი პავლეს ძეს ბაღი?” მრავალმნიშვნელოვნად მკითხა ვახტანგმა, როცა ხრაშუნა ბილიკზე მიაბიჯებდა.

ეს მინიატურული ოაზისი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ძველ შენობას აკრავს, სადაც ოდესღაც ბერია მართავდა და რომელიც პირადად მის მიერ იყო საძირკველჩაყრილი. ამბობენ, ლავრენტი პავლეს ძეს აქ სეირნობა უყვარდაო, მაშინ აქ შესვლა აკრძალული იყო, თუმცა ახლაც ხომ ასეა. თუჯის მესერის მიღმა ხალხი ბობოქრობდა, ბერიას ბაღში კი ისევე, როგორც უწინ, მხოლოდ განდობილები დაიარებოდნენ.

მაშ ასე, ჩემი თხრობის გმირი თავისი გრძელი ფეხებით ადიოდა სოციალური კეთილდღეობის კიბეზე.

მოგვიანებით მე მივხვდი - ის მაინც არ იყო სრული გაგებით მსახური. ის ადვილად ძლევდა საფეხურებს და ისე ადიოდა კიბეზე: მას თავად აღმასვლის პროცესი ახალისებდა - მეც შემიძლია ასეო! მე არც მინისტრის შვილი ვარ და არც ვინმეს პროტეჟე, უბრალო თბილისელი ბიჭი ვარ, რომელსაც მხრებზე თავი ადგასო.

ის გულმოდგინედ აკვირდებოდა ნებიერ კოლეგებს, ფაფუკ სავარძლებში რომ ისხდნენ და სიამოვნებისგან თვალებს ჭუტავდ-ნენ. აკვირდებოდა მათ და ხედავდა, რომ თვითონ მათზე ბევრად უფრო გონიერი, უფრო განათლებული და მაღალი იყო.

ეს ართობდა მას, და ის უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა, რათა პარტიული ხელისუფლების საიდუმლო გამოეცნო, დაენახა ვინ იჯდა იქ, მაღლა და სულ-სულ მაღლა?

ამ საიდუმლოს ის ეძებდა ყველგან - თითოეულ კაბინეტში, უმნიშვნელო რეპლიკებში ნებისმიერ ოფიციალურ ქაღალდში - ჭეშმარიტების მაძიებელი დეტექტივივით ხარბად კითხულობდა ამ ქაღალდებს.

როგორც ამ საიდუმლოებასთან კავშირის მქონეს, ის მეც გულდასმით მსწავლობდა. მას ვერ გაეგო ვინ ვიყავი და როგორ მოვხვდი ამ სამალავებში - ქვეყანაში, სადაც, მისი თქმით, სასტარტო შესაძლებლობები ძალზე განსხვავებულია, თუმცა, მაინც სიამოვნებით, ქვეტექსტით ადასტურებდა, რომ მან, სხვებისგან განსხვავებით, ამ უთანასწორობის დაძლევა შეძლო.

ამიტომაც ჯიქურ მისვამდა ხოლმე კითხვებს და მონადირის დაძაბული მზერით მაჩერდებოდა.

ის ყოველთვის ფხიზლად იყო - გამახვილებული სმენითა და მზერით. მექანიკურად ისწორებდა ხოლმე სათვალეს, ისე, როგორც მზვერავი საეჭვო ობიექტის გამოჩენისას დაუფიქრებლად შემართავს ხოლმე იარაღს.

მაშინაც კი, როცა ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა, ყველა შეშინებული იყო და საიმედო სამალავს ეძებდა, მას კი უფრო მაღალი პარტიული პოსტი შესთავაზეს, ის დათანხმდა – საიდუმლოება ახლოვდებოდა, და მალე, ძალიან მალე ის გაიგებს - მაინც რა არის იქ? და მოგვიანებით მე ვნახე, როგორ გადაურბენდა ხოლმე დაკმაყოფილებული ღიმილი გრძელ ტუჩებზე - იქ, ზევით, ისეთივე უბადრუკობაა...

ხოლო როდესაც პარტია და მისი ხელისუფლება დადნა, განზავდა, თითქოს არც არასდროს უარსებიათო, იმ დღეებში ამ პარტიულ ფუნქციონერზე უფრო მხიარული ადამიანი არ მინახავს, მისთვის საიდუმლო აღარ არსებობდა.

პარტიულ სიმაღლეებს რომ მიაღწია, მან უკვე იცოდა: ჯადოსნის თეჯირს მიღმა იყო უღიმღამობა, უბადრუკობა და ჩინით უფროსთა პატივისცემა.

და სხვა არაფერი.

მაგრამ ეს ბევრად უფრო გვიან იყო.

ახლა კი ვახტანგი ჩემ წინ იჯდა. რომ დამინახა, როგორ ვათვალიერებდი, სავარძელში შეიშმუშნა და მოუთმენლად ჩამეკითხა: “მაინც რაშია მესხების საიდუმლო?”

თქვენ გგონიათ, რომ მე თქვენ ამას გაგიმხელთ?” - ვუთხარი მე მას ის, რაც პირველი მომივიდა აზრად.